# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №131 (2831) შაბათი, 30 მაისი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

რეზონანსი

## უშიშროების საბჭო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს კონფლიქტის ზონაში მომხდარი ძალადობის გამო

28 მაისს გაეროს უშიშროების საბჭომ გაითვალისწინა გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მიმართვა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საგანგებო სხდომის გამართვის თაობაზე. უშიშროების საბჭომ განიხილა როგორც გაეროს გენერალური მდივნის 11 მაისის მოხსენება, ასევე გალის რაიონში ბოლო პერიოდში შექმნილი ვითარება. განხილვის შედეგად უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „უშიშროების საბჭო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს კონფლიქტის ზონაში ამას წინათ მომხდარი ძალადობის გამო, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაკადი, და მოუწოდებს მხარეებს მკაცრად დაიცვან როგორც 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ და 1998 წლის 25 მაისს ხელმოწერილი ოქმი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ასევე ყველა მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ და არსებული სადავო საკითხები მოაწესრიგონ მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით.

უშიშროების საბჭო ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს ბოლო დროს სამშვიდობო პროცესის შეფერხების გამო. საბჭო მოუწოდებს მხარეებს გამოხაგონ აუცილებელი პოლიტიკური ნება, რათა მიღწეულ იქნას საგრძნობი შედეგები მოლაპარაკების ძირითად საკითხებზე როგორც გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ჩარჩოებში, ასევე პირდაპირი დიალოგის მეშვეობით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის გათვალისწინებით.

იხ. მე – 2 გვ.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

## რესურსები, რომლებიც ქვეყანას გაამდიდრებს

### საქართველოს მთავრობის 29 მაისის სხდომიდან

**ვაისის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყო. ტრადიციისამებრ – მთავრობის სხდომაზე, და უკვე მეორედ ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი წარსდგა მომხსენებლის ამპლუაში – ჩამოყალიბებული, გამოცდილებით საფუძველგამაგრებული, დარწმუნებული (არა თავდაჯერებული) ახალგაზრდა მინისტრი ფინანსთა.**

1999 წლის ბიუჯეტის პარამეტრები, რომლებიც მან წარმოადგინა, შარშანდელთან შედარებით გაცილებით კვალიფიციური და რეალისტური იყო, ხარისხობრივად ახალი საფეხურიც. ასე შეაფასა ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოხსენება – კოლექტიური ნაშრომი.

პრეზიდენტის შემაჯამებელი სიტყვის არქიტექტონიკა რეზერვების მთავარი თემით იყო განსაზღვრული, იმ გამოუყენებელი თუ აუმოქმედებელი რესურსებისა, რომლებმაც პრაქტიკულად უნდა შეავსოს ბიუჯეტი, რესურსები, რომლებიც რეალურად არსებობს.

ახლა ჩავხედოთ ამ ძირითადის კონკრეტულ შემადგენლობას.

მაგრამ მანამდე – სხვა: პრეზიდენტმა ერთი საკითხი განსაკუთრებით გამოჰყო – ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრმა თენგიზ გაზდელიანმა, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებმა მიიღეს დავალება – თვე-თვენახევრის განმავლობაში, როგორც განსაზღვრული იყო, დაფარონ ხელფასების, ლტოლვილთა და ინვალიდებისათვის პენსიებისა და დახმარებების გაცემა, დაფარონ დავალიანება: – რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს უნდა გავაკეთოთ! არ იყო ეს მხოლოდ კატეგორიული მოთხოვნა, სახელმწიფო პოლიტიკის უკომპრომისობა გამჟღავნდა ამ კატეგორიულობაში. ბოლო დღეების კატაკლიზმების გამო სოციალური საკითხების მეორე პლანზე გადაწევა ლოგიკურიც კი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ასეთი ლოგიკა პრეზიდენტის ლოგიკას არ ესადაგება.

დავუბრუნდეთ რეზერვებს, რომელთა ანალიზის დროს ედუარდ შევარდნაძე ასეთივე კატეგორიული და მომთხოვნი იყო – გაუთავებელი ლაპარაკი გადაწყვეტილებების მიღებით უნდა დამთავრდეს. გადაწყვეტილებებისა იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც დღევანდელი დამუხტული დროის დინამიკურ განვითარებას ვერა და ვერ აჰყვნენ (მე ასე გავიგე, მგონი, სწორადაც).

ქვეყანაში ნავთობის ძიებისა და მოპოვების საქმე, რომელიც პრინციპულად წინმსწრები ტემპით უნდა ვითარდებოდეს, მუხრუჭდება (თუ ამუხრუჭებენ?). რომელი, რაგინდ მდიდარი ქვეყანაც უნდა იყოს, თავს უფლებას მისცემს, ასეთი სიმდიდრე ჰქონდეს და ასე ზანტად ირჯებოდეს მის მოსაპოვებლად?! ან რა გველეშაპი ზის იმ ნავთობის წყაროსთან, რომ ჯადო ვერ აგვიხსნია? ჩვენ, თუ იმ უცხოურ კომპანიებს, რომელთაც ქართული გულწრფელობით ვანდეთ ეს საქმე და სად და როგორ იხარჯება (იფლანგება?) დიდძალი სახსრები, არც კი ვიცით? რომც ვიცოდეთ, შედეგს ვერა ვხედავთ.

ენერგეტიკის მინისტრმა თემურ გიორგაძემ დავალება მიიღო – გაერკვეს პრობლემაში და სისტემა ამ მიმართებით აამოქმედოს.

ნავთობი – ბიუჯეტის დამატებითი შემოსავალი და რეზერვი.

სახელმწიფოს ეკონომიკური სტრუქტურები ვერ მოერიენ სავალუტო ფონდს, რომელსაც მიაჩნია, რომ ხე-ტყე, ანუ მორები, ანუ მასალა დაუბრკოლებლად უნდა გავიდეს ქვეყნიდან.

იხ. მე – 2 გვ.

გუშინ

## გაიმართა ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას სატელეფონო საუბარი

29 მაისს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას სატელეფონო საუბარი.

საუბრის დროს ყურადღება მიაპყრეს რამდენიმე ძირითად საკითხს. კერძოდ, აღინიშნა, რომ განუხრელად უნდა შესრულდეს გაგრაში ხელმოწერილი ოქმის დებულება კონფლიქტის ზონიდან ყოველგვარი შეიარაღებული ძალის გაყვანის შესახებ.

ედუარდ შევარდნაძე და ვლადისლავ არძინბა შეთანხმდნენ, რომ ორივე მხარე განახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას კონფლიქტის ხელახალი პროვოცირების, ყოველგვარი პროვოკაციული ჭორისა თუ მოქმედების წინააღმდეგ, რათა არ დაუშვან რეგიონში არასტაბილურობით დაინტერესებული ძალების მცდელობა. მოახდინონ მორიგი ფართომასშტაბიანი კონფლიქტის ინსპირირება. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ სიტუაციის შემდგომი გართულება, საქართველოს პრეზიდენტმა და აფხაზთა ხელისუფლების ლიდერმა მოილაპარაკეს, რომ ექნებათ მუდმივი სატელეფონო კავშირი და საშუამავლო არხი.

ვლადისლავ არძინბამ დაადასტურა, რომ გალის რაიონში განვითარებული მოვლენების შედეგად დევნილი მოსახლეობის დაბრუნების პროცესი მთლიანად გაეროს დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად წარიმართება და, უწინარეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ დაიწყება ლტოლვილი ქალების, ბავშვებისა და მოხუცების დაბრუნება.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, გალის რაიონიდან დევნილ და დაზარალებულ მოსახლეობას შესაბამისი ფინანსურ-მატერიალური დახმარება გაეწევა.

ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას გადაწყვეტილებით, კვირას მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში მათი პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლები ვაჟა ლორთქიფანიძე და ანრი ჯერგენია. მოლაპარაკების მთავარი მიზანი იქნება ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას შეხვედრის მომზადება.

მხარეებმა დაადასტურეს ერთიანი პოზიცია, რომ კონფლიქტის მოწესრიგებისა და შერიგების პროცესი შეუქცევადია და მის ხელშესაწყობად აუცილებელია კომპრომისული ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.



ფელიქს კრიმსკის ფოტო.

რეაქცია

## „ყველა ლტოლვილი უსაფრთხოდ უნდა დაბრუნდეს“

გალის რაიონში შექმნილი ვითარების თაობაზე 28 მაისს ევროკავშირის მუდმივი საბჭოს სხდომაზე განცხადება გააკეთა ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის – დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა. განცხადებაში გამოთქმულია ღრმა შეშფოთება გალის რაიონში საომარი მოქმედების განახლების გამო, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და ლტოლვილთა ახალი ტალღა. „კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების პირობების საგრძნობი გამწვავება საფრთხეს უქმნის როგორც სამშვიდობო პროცესს, ასევე, საერთოდ, რეგიონის სტაბილურობას. მივესალმებით 25 მაისს ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მოვუწოდებთ მხარეებს მის შესრულებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

მხარეებმა უნდა გააორმაგონ თავიანთი ძალისხმევა სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობაში, კონსტრუქციულად ჩაერთონ გაეროს ეგიდით მიმდინარე პროცესში და პირდაპირ დიალოგში. „ყველაფერი ეს უნდა მოხდეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის ფარგლებში“, – ნათქვამია მუდმივი საბჭოს განცხადებაში.

მოლაპარაკებათა ერთ-ერთი მთავარი საკითხი უნდა იყოს ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება: „ყველა ლტოლვილი უსაფრთხოდ უნდა დაბრუნდეს საკუთარ სახლში“, – აღნიშნულია განცხადებაში.

**განცხადებას ხელს აწერენ როგორც ევროკავშირის მუდმივი საბჭოს წევრი, ასევე, ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა და სლოვენია.**

საქინფორმი.

რეაქცია

## ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის განცხადებით, „ხელახლა წარმოქმნილი კონფლიქტი საფრთხეს უქმნის რეგიონულ უშიშროებას“

28 მაისს, ვარშავაში ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრონისლავ გერემეკმა გამოთქვა ღრმა შეშფოთება საქართველოს გალის რაიონში ვითარების გაუარესების გამო.

„ხელახლა წარმოქმნილი კონფლიქტი სერიოზულად ემუქრება კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის გაეროს ეგიდით მიმართულ მცდელობას და საფრთხეს უქმნის რეგიონულ უშიშროებას კავკასიაში“, – აღნიშნულია ეუთოს მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

ბრონისლავ გერემეკმა მოუწოდა ორივე მხარეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედებები და დაემორჩილონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 25 მაისს გაგრაში ხელმოწერილ შეთანხმებას.

ეუთო სრულად უჭერს მხარს გაეროს მცდელობებს. იგი ემხრობა სამშვიდობო პროცესის გაგრძელებას გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ეგიდით, რუსეთის ფედერაციის შუამავლობითა და ეუთოს მონაწილეობით.

საქინფორმი.

ინფორმაცია

### გაეცნობიან ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის საქართველოს მონაკვეთს

29 მაისს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სენატისა და კონგრესის ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენელთა და ამერიკა-თურქეთის საბჭოს წევრთა დელეგაცია.

როგორც აღნიშნა ამერიკა-თურქეთის საბჭოს უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა ლინკოლნ მექერდმა, დელეგაციის ვიზიტის მიზანი იყო მონაწილეობა მიეღო ამა წლის 27-29 მაისს სტამბოლში გამართულ კონფერენციაში „მსოფლიო გზაჯვარედინზე“ და შემდეგ მოენახულებინა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის შესაძლო მიმართულებანი, კერძოდ, საქართველოს მონაკვეთი, სუფსის ტერმინალის მშენებლობა, გაეცნოს პროექტის მიმდინარეობას.

დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ გალის რაიონში მიმდინარე პროცესებით. სახელმწიფო მინისტრის დაწვრილებითი ინფორმაციის საფუძველზე დელეგაციამ მაღალი შეფასება მისცა, ერთი მხრივ, ხელისუფლებისათვის არაპოპულარულ, მაგრამ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას – არ აჰყოლოდნენ პროვოკაციას და არ ჩართულიყვნენ ფართომასშტაბიან კონფლიქტში, რათა, როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, არ „დამარხულიყო“ ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროექტები.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები უფრო სერიოზულ დაფიქრებას და მოქმედებას საჭიროებს მსოფლიო თანამეგობრობისაგან.

### „ინტერფაქსი“ ცრუობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო „ინტერფაქსის“ მიერ გავრცელებული ცნობა, რომ თითქოს 20-25 მაისის გალის მოვლენების დროს საქართველოს მხარეზე იბრძოდნენ უკრაინელი დაქირავებულები. სამინისტროს მიაჩნია, რომ ასეთი ცნობის გავრცელება მიმართულია ბოლო დღეების მოვლენებში აფხაზთა მხარეს დაქირავებულ მებრძოლთა მონაწილეობის გამართლებისაკენ და წარმოადგენს გალის რაიონიდან იძულებით განდევნილი მოსახლეობის უმწეავესი პრობლემიდან საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობას.

სამინისტრომ ცალკე განცხადება გაავრცელა კონფლიქტის ზონაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის იურიდიული უსაფუძვლობის საკითხზე.

### თავდაცვის მინისტრს ახალი მოადგილეები ჰყავს

29 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამართულ სამხედრო კოლეგიის სხდომას თავდაცვის მინისტრმა გენერალ-მაიორმა დავით თევზაძემ მინისტრის ახალი მოადგილეები წარუდგინა.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით თავდაცვის მინისტრის მოადგილეებად დაინიშნენ: გენერალ-ლეიტენანტი რობერტ თავაძე, გენერალ-მაიორი ომარ ლეკვეიშვილი და ბატონი გრიგოლ ქათამაძე.

განხორციელებული რესტრუქტურიზაციის შედეგად, თავდაცვის მინისტრს ნაცვლად 12 მოადგილისა, 4 მოადგილე ეყოლება (თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეა შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი).

გენერალ-ლეიტენანტი რობერტ თავაძე ჯარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს უხელმძღვანელებს, გენერალ-მაიორი ომარ ლეკვეიშვილი საბრძოლო მომზადებასა და აღმზრდელობით მუშაობაზე იქნება პასუხისმგებელი, ხოლო გრიგოლ ქათამაძეს, რომელიც პროფესიონალი დიპლომატია, სახელმწიფო პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წარმართვა დაევალა.

### ფრანგები „გვზვერავენ“

გუშინ საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტს ეწვია საფრანგეთის დაზვერვის დეპარტამენტის დელეგაცია. საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ავთანდილ იოსელიანთან შეხვედრისას კოლეგებმა განიხილეს ამ ორ სტრუქტურას შორის თანამშრომლობის საკითხები.

### იმერეთით ბელგიაშიც დაინტერესდნენ

28 მაისს ბრიუსელის საგარეო ვაჭრობის ოფისში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც განიხილეს საქართველოს და, კერძოდ, იმერეთის რეგიონის საინვესტიციო პროგრამები. ამ შეხვედრას საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბურდული, იმერეთის მხარის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი, ბანკირები, რომელთაც სურთ საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ საქართველოსთან.

თემურ შაშიაშვილმა გააცნო სტუმრებს იმერეთის ეკონომიკური და სამრეწველო პოტენციალი და მიიწვია ყველა იმერეთით დაინტერესებული ბიზნესმენი ქუთაისში.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში ზურაბ აბაშიძე.

### ტურიზმის განვითარებისათვის

28 მაისს თურქეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას „მსოფლიო გზაჯვარედინი“, რომლის ორგანიზატორი იყო ამერიკის სახელმწიფო ორგანიზაცია ვაჭრობისა და განვითარების სააგენტო, ესწრებოდა შავი ზღვის აუზის 14 ქვეყანა, მათ შორის, დელეგაცია საქართველოდან.

როგორც ბეას კორესპონდენტს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ზეზვა ღუღუნიშვილმა განუცხადა, ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ საქართველოს 400 ათასი აშშ დოლარი გამოუყო გრანტის სახით.

### ჩაის დამზადება ძალაში შედის. ხვნა-თესვა დასასრულს უახლოვდება

გურიის მხარეში ყოველდღიურად ძლიერდება ხარისხიანი ჩაის ფოთლის დამზადების ტემპი. 28 მაისის მონაცემებით, სულ მხარეში დამზადდა 510 ტონა ფოთოლი. მათ შორის ლანჩხუთში – 100 ტონა (მუშაობს 7 ჩაის ფაბრიკა), ოზურგეთში – 690 ტონა (მუშაობს 14 ჩაის ფაბრიკა), ჩოხატაურში – 60 ტონა (მუშაობს 2 ფაბრიკა).



ამჟამად გურიის მხარეში ყოველდღიურად 110 კილოგრამი ფოთოლი მზადდება. ვარაუდობენ, რომ მოკრეფილი ფოთლის ოდენობა უახლოეს დღეებში 180-200 ტონამდე გაიზრდება. რაც შეეხება დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ინტენსიურად მიმდინარეობს ხვნა-თესვის კამპანია. გურიის მხარეში პროგნოზით სულ უნდა მოიხნას და ერთწლიანი კულტურები დაითესოს 17091 ჰექტრამდე, სადღეისოდ ეს სამუშაოები შესრულებულია 14200 ჰექტარზე (79 პროცენტი). ხვნა-თესვა დასასრულს უახლოვდება.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ბეამ“ და საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა.**

კონტაქტები

## ორი ზღვის ზღაპრული ამბავი რეალობად რომ იქცეს...

დაძაბული დღეები გვიდგას საქართველოში... ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის 80 წლისთავის საზეიმო დღეებში მტერ-დუშმანმა პროვოკაციათა ახალი ტალღა ააგორა და აფხაზეთში ომის განახლებით გვემუქრება.

ყველამ კარგად ვიცით, რაც იმალება ამ მზაკვრული ჩანაფიქრის მიღმა – არასტაბილური და ქაოსით მოცული საქართველო ხელს აძლევს იმათ, ვინც ალმაცერად უყურებს იმ ახალ, სტრატეგიულ საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც ამ ბოლო წლებში შეიძინა ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო თანამეგობრობის თვალში, თავისი „ევრაზიის დერეფნით“, ნავთობსადენებით, ახალი თანამედროვე სანავთობო ტერმინალების მშენებლობით და იმ საოცარი პერსპექტივით, დიდ აღმავლობასა და სიკეთეს რომ გვიქადის.

სწორედ ამ ნიშნით იყო განპირობებული ჩვენი სახელმწიფო მინისტრის ერთდღიანი ვიზიტი სტამბოლში და მისი მონაწილეობა იმ უაღრესად მნიშვნელოვან კონფერენციაში, რომელიც განიხილავდა კასპიისა და შავი ზღვის რეგიონების ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლისა და მომავლისათვის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობებს.

იხ. მე – 2 გვ.

კანონმდებლები

## პლენარულ სხდომაზე

საქართველოს პარლამენტის დილის სხდომაზე ვენრიხ მურადიანსა და ვლადიმერ კვარაცხელიას პარლამენტმა შეუწყვიტა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. საქართველოს ტყეებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ მომხსენებლად დაინიშნა პარლამენტარი გიორგი გაჩეჩილაძე. პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. „სამეწარმეო სფეროს მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობის მოწესრიგებისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“ მოხსენება გააკეთა პარლამენტარმა თამაზ აქუბარდიამ. ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილებას პარლამენტი მოგვიანებით მიიღებს.

იხ. მე – 2 გვ.

შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



### ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| დაცული ტერიტორიების ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი | – 100 ლარი; |
| მოსწავლეთა თვითმმართველობის გამგეობა | – 50 ლარი; |
| ლია ჭიღლაძე | – 15 ლარი; |
| პაშა ვაჩეიშვილი | – 45 ლარი; |
| ნათია სახელაშვილი | – 10 ლარი; |
| ჩიქოვანი და ფანცულაია | – 12 ლარი; |
| ლელა წულეისკირ-ავალიანი | – 15 დოლარი; |
| ბესო ავალიანი | – 15 დოლარი; |
| ნინო ავალიანი | – 15 დოლარი; |
| გიორგი ავალიანი | – 15 დოლარი; |
| ინა ყიფიანი | – 50 დოლარი. |

უკანასკნელ საათს

გუშინ, როგორც იტყობინებიან, რუსეთის საფინანსო კრიზისის პიკმა გადაიარა. რუბლის კურსი იზრდება. ვარაუდობენ, რომ მალე ფასიანი ქაღალდების სფეროშიც სტაბილიზაცია დაიმკვიდრებს.

გუშინ პაკისტანის პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამ სიტუაციაში ქვეყანამ ბირთვული აფეთქებების ფაქტი იზეიმა. პაკისტანი კი უკვე ეკონომიკური სანქციების რკალში ექცევა.

გუშინ გაერომ ოფიციალურად დაგმო პაკისტანის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდა. ინდოეთის პრემიერმა ვაჯპაიმ გუშინ პაკისტანს შესთავაზა დაიწყონ დიალოგი ბირთვული იარაღის პირველად გამოყენების საკითხზე.

გუშინ ნიკიტა მიხალკოვმა რუსეთის კინემატოგრაფისტთა ყრილობას რეორგანიზაციის პროგრამა შესთავაზა.

## ლარის კურსი

1871653

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 30 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლინგი | 1 | 2. 1889 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.7560 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.3470 ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.2255 ლარი |
| თურქული ლირა | 10,000 | 0.0524 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.2181 ლარი. |

დღეს

## ამინდი



**დასავლეთ საქართველოში**

ღრუბლულიანი ამინდი, ზოგან წვიმა. დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +10+15; დღისით +20+25.

მთაში: ღამით +6+11; დღისით +13+18.

მაღალ მთაში: ღამით +3+8; დღისით +10+15.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტეს რაიონში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, შესაძლებელია სეტყვა. დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +12+17; დღისით +21+26.

მთაში: ღამით +7+12; დღისით +14+19.

მაღალ მთაში: ღამით +1+6; დღისით +9+14.

**თბილისში:**

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით. ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ღამით +15+17; დღისით +24+26.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

(პირველი გვერდიდან)

გატანას ნებართვა სჭირდება, ლიცენზია და, რაც უფრო მკაცრი (და ძნელიც) იქნება საამისო უფლების მოპოვება, მით უფრო დაიწრიტება ის მდინარე, რომლითაც დაუბრკოლებლად მიცურავს ხე-ტყის ქარავანი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მით უფრო რეალური საფუძველი შეიქმნება ამ ბაზაზე დამმუშავებელი მრეწველობის განვითარებისა, რომელიც დღეს ისეა მივიწყებული, რომ მისი ნოსტალგიაც აღარავის აქვს.

არადა, თუნდაც ის ტრადიციული, მაგრამ ახლა უკვე ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე აღდგენილი ხე-ტყის დამმუშავებელი ფაბრიკები და საამქროები – მარელისი, ახალდაბა და ა. შ. – ხომ ნიშნავს აღდგენილ (და ახალ) სამუშაო ადგილებსაც, შემოსავალსაც მოსახლეობისათვის და შემატებასაც ბიუჯეტისათვის?

ესეც რეზერვია.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ნინო ჩხობაძეს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ამასთან დაკავშირებული შესაბამისი დავალებები მისცეს.

დავიწყებულის აღდგენის, იძულებით დავიწყებულის აღდგენის თემა განსაკუთრებით გამოიკვეთა ჩაის მრეწველობის გამოცოცხლების საკითხის განხილვისას. საკმარისი იყო გამოჩენილიყო „მარტინ ბაუერი“, სახელმწიფოს გამოენახა 3 მილიონი ლარი და მეჩაიეებისათვის გადაეხადა, რომ დარგის გამოცოცხლება დაიწყო. მაგრამ იგივე სჭირდება მეაბრეშუმეობას და, განსაკუთრებით, მეხილეობას, მევენახეობას, ანუ სერიოზულ საექსპორტო რესურსს.

და ესეც რეზერვია.

ამ რეზერვის ამოქმედება (და არა მარტო ეს), მოითხოვს, რომ ქვეყანაში იყოს საკუთარი საინვესტიციო ფონდი. არ შეიძლება ქვეყანას არ ჰქონდეს საინვესტიციო ფონდი, — მიაჩნია პრეზიდენტს. მარტო პრეზიდენტის ფონდი უკვე საკმარისი არ არის. ახლა კი გაწვდა ქვეყანაში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციას, მაგრამ ხვალ? გაისად?

ეს მოთხოვნაც აისახება ახალ ბიუჯეტში.

**ფაქტი: სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი ახლახან მრეწველებს შეხვდა, რომლებმაც მას განუცხადეს: — დაგვიცავით მინერალური და ხილის წყლების ყალბისმქმნელებისაგან და სახელმწიფო ბიუჯეტში ას მილიონ ლარს შემოვიტანთო ყოველწლიურად. თუ ღვინის ფალსიფიკატორებსაც ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ (მოლდავეთი, რუსეთი, სხვა ქვეყნები) ჩამოგვაცილებთ, 3-4 წელიწადში 500 მილიონ ლარს შევმატებთო სახელმწიფო ხაზინას(!).**

ესეც რეზერვია და ამასაც დაუჭირა მხარი ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც მოითხოვა ფალსიფიკატორებთან ბრძოლის გაძლიერება და, საერთოდ, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის სახელმწიფო პროგრამის ბოლომდე მიყვანა, რაც ანტიკორუფციული სახელმწიფო სამსახურის ამოქმედებასთან, ქვეყანაში მბრუნავი აღურიცხავი თანხის კომერციულ ბანკებში შეტანასთან ერთად (ლაპარაკია 400-500 მილიონ ლარზე) უდიდესი რეზერვია ბიუჯეტის შესავსებად.

პრივატიზაციაც რეზერვის კატეგორიაში მოექცა. ამ პროცესიდან მიღებული შემოსავალი კვლავ დარგების განვითარებისთვის უნდა დაიხარჯოს, დაახლოებით იმ პრინციპით, ევროკავშირი ჩვენს გლეხობასთან რომ მუშაობს — კრედიტის გაცემა, რომელსაც მეურნე მოსავლის მიღების შემდეგ აბრუნებს.

სამინისტროები ძნელად ეგუებიან პრივატიზაციას, თუმცა აქაც განსხვავებული მიდგომაა საჭირო, დარგები რომ არ დაუანგრიოთ, კომუნიკაციები რომ არ მოვშალოთ, — გვაფრთხილებს პრეზიდენტი.

კიდევ ერთი რეზერვი — მიწის გადასახადის მოწესრიგება. სამართლიანად გაიჟღერა მთავრობის სხდომაზე პოპულარულმა არგუმენტმა ბენზინის გასამართი სადგურისთვის, რესტორნისთვის და მეტალურგიული ქარხნისათვის (რომელიც ათობით ჰექტარზე უვლის და აშენებს მწვანე ნარგაობას) მიწის გადასახადი ერთნაირი არ უნდა იყოს.

და, საერთოდ, პოპულისტური განცხადებები – გავაუქმოთ გადასახადები, ანუ გავათავისუფლოთ გადასახადებისაგან ესა თუ ის დარგი, ობიექტი, მხოლოდ ლობირების თვალსაჩინო მაგალითია და არა სახელმწიფოს განვითარებისათვის ზრუნვის ნიმუში.

გადასახადი მის ამკრეფთან არის ბუნებრივად დაკავშირებული და უკანასკნელის ინტერესის საგანიც გახლავთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აკრეფილი თანხის ზრდა ამ სისტემის მუშაკთა პირადი შემოსავლის ზრდასთან არის უშუალოდ დაკავშირებული. პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ ურთიერთდაკავშირებულობის ეს პრინციპი (რომელიც შარშან დაირღვა), აუცილებლად უნდა აღდგეს, რაც ბიუჯეტს 0- 5 პროცენტს შემატებს.

ამ ჭრილში (დაინტერესების) განსაკუთრებული დამოკიდებულება უნდა დამკვიდრდეს იმ რაიონებისა და ქალაქებისადმი, სადაც საბაჟოები მოქმედებს — მათაც უნდა დარჩეს შემოსავლის გარკვეული პროცენტი — აჭარა, ფოთი, ახალციხე, მალე — ახალქალაქიც.

**ფაქტი: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობამ (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დავით შალიკაშვილი) ევროპის გაჯერებულ ბაზარშიც კი შეძლო შეღწევა, თავისი პროდუქციის მყიდველის პოვნა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქვს ხარისხიანი პროდუქცია, მეორეც, იმიტომ, რომ აქ მუშაობენ უნარიანი ხელმძღვანელები.**

ძებნა სჭირდება ბაზარს, ბრძოლაც – მოსაპოვებლად ადგილისა საბაზრო ეკონომიკის მზის ქვეშ. დსთ სახელმწიფოები — ცენტრალური აზია, რუსეთი, ჩვენი მეზობლები — ტრადიციული ურთიერთობა ვისთანაც გვქონდა, პოტენციური ბაზარია, და, თქვენ, რა თქმა უნდა, მიხვდით, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქციით აქ შესვლა ბიუჯეტში სერიოზული რესურსების მოზიდვის საშუალებაც არის.

ვაჭრობის და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრმა კოტე ზალდასტანიშვილმა (რომელმაც პრეზიდენტის დახასიათებით, ადაპტაციის პროცესიც გაიარა და შეძლო საერთაშორისო კონტაქტების დამყარება), ამ მიმართულებით საქმიანობის მასშტაბის გაზრდის შესახებ მიიღო დავალება.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე (ასე მგონია), რომ განიხილებოდა არა მხოლოდ პროექტი 1999 წლის ბიუჯეტისა, არამედ კონკრეტული საკითხები, რომელთა გადაჭრა-ამოქმედება წელსვე მოგვცემს (უნდა მოგვცეს) პრაქტიკული ეფექტი.

თეორიული განსჯა-გათელებით არავინ გატაცებულა და, რაც მთავარია, ყველაფერი (თეორიაც და პრაქტიკაც) კონცენტრირებული იყო სოციალურ პრობლემებზე – გალის რაიონიდან დევნილთა დახმარებით, პრეზიდენტის გრანტებით დაწყებული, ხელფასებისა და პენსიების ზრდის პერსპექტივით დამთავრებული – იმ რეალური საზღვრებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, რაც დღესა აქვს ქვეყანას, ექნება ხვალ. ხვალ მეტი ექნება.

მაგრამ სოციალურ სფეროშიც არის პრიორიტეტული პრობლემა, პრიორიტეტული მთელი ქვეყნისათვის — მაწანწალა და უპატრონო ბავშვების საკითხი — მათ სახელმწიფომ უნდა უპატრონოს, ეს სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

* * *

**და გალი. გალის ტრაგედია და თავიდან აცილებული (ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად) ავანტიურა ომში საქართველოს ჩათრევის, ჩვენი და აფხაზებისა, რომლებიც, როგორც პრეზიდენტმა თქვა, მიხვდნენ, რომ სხვათა მიერ დაწყებულ ინტრიგებში არ უნდა ჩაებან.**

**არმაზ სანებლიძე.**

# რესურსები, რომლებიც ქვეყანას გაამდიდრებს

## ინტერვიუ

# არ აჰყვეთ პატრიოტული შეფერილობის პროვოკაციებს!

### გვესაუბრება ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი ჰენრი კუპრაშვილი

**— როგორ შეაფასებდით ამ ბოლო დღეებში აფხაზ ბოევიკთა მიერ საბრძოლო მოქმედებების განახლებას?**

— გალის ბოლოდროინდელი მოვლენები ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მიმდინარე აღმშენებლობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი შეთქმულების მხოლოდ ერთი დეტალია. უდავოა, რომ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში ჩართულია მრავალრიცხოვანი კოალიციური ძალები, აღჭურვილი ძლიერი სამხედრო ტექნიკით, ცოცხალი ძალით, საინფორმაციო საშუალებათა ფართო ქსელითა და აქტიურად მოქმედი „მეხუთე კოლონით“.

ჩვენ აფხაზ ხალხს არ ვებრძვით. 80 ათას აფხაზს ქართველი ომს არ გაუმართავს. ამის უფლებას ჩვენი ღვრიტა და ტოლერანტული სულისკვეთება არ მოგვცემს. პირიქით, მესამე ძალა რომ არ იყოს ჩარეული ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, ჩვენ ამ მცირერიცხოვანი, მაგრამ იშვიათი ხალხის გადარჩენასა და შემდგომ განვითარებაზე უნდა ვზრუნავდეთ.

საქართველოს მტრებს — ჩრდილოელს, სამხრეთელს, თუ დასავლეთელს — ეს არ აწყობს; ასე თუ ისე, მოსვენება დაუკარგა ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკის პერსპექტივამ. აშკარა ხდება, რომ მიგრანიან-ზატულინის სცენარს განხორციელება არ უწერია. პირიქით, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობა და მისი განხორციელების ქმედითი საშუალება ხდება პოლიტიკური დატვირთვის მქონე საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა, რაც გამოიხატება ევროკავშირის სტრუქტურებში გაერთიანების გარდუვალობაში, ტრასეკას და საერთაშორისო ნავთობსადენის ამოქმედებაში. სწორედ ესაა უმთავრესი მიზეზი საქართველოს მოშურნეთა გააფთრებისა, აღარაფერი რომ ვთქვათ პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებსა და აფხაზეთ-ცხინვალის კონფლიქტის ესკალაციის მცდელობაზე, ფსიქოლოგიურ, ინფორმაციულ, რადიაციულ და მე ვიტყვი, იდეოლოგიურ ფრონტებზე მოწინააღმდეგის განუწყვეტელი შეტევები მიმდინარეობს.

**— აქვს თუ არა ალტერნატივა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას — გამოიყენოს ყველა ხერხი და არსებული საშუალება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად?**

— პრეზიდენტ შევარდნაძის გადაწყვეტილება ამ ეტაპის და მომენტისათვის, ჩემი აზრით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. სხვაგვარად კატასტროფა გარდუვალი იყო. გალის მოვლენების თავიდან აცილება არ იყო ადვილი, მაგრამ ის მაინც გახდა შესაძლებელი, რომ თითქმის უდანაკარგოდ, მშვიდობიანად იქნა გამოყვანილი გალის ქართული მოსახლეობა საომარი მოქმედებების ზონიდან და, რაც მთავარია, თავიდან ავიცილეთ მტრის მიერ დაგეგმილ სისხლისმღვრელ, ფართომასშტაბიან და უთანასწორო ომში ჩვენი ჩათრევა. ეს კი შეიძლება კატასტროფაში გადაზრდილიყო.

**— როგორ გესახებათ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა?**

— ზოგიერთ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს ხარჯზე აქვს წარმოდგენილი საკუთარი სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივა.

ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელისუფლების რეალურად ხელში აღების შემდეგ (დაახლოებით 1995 წლის ფარგლებში) მტრის გეგმების განხორციელებას, მათ შორის, უმთავრესს — საქართველოს დაშლილ-დაქუცმაცებას, სერიოზული საფრთხე შეექმნა. მაგრამ პოლიტიკური პროცესები ისე წარიმართა, რომ საქართველოს წინამე გადაიშალა რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და დასავლეთის ინდუსტრიული გიგანტი ქვეყნების ინტერესების სფეროში შესვლის, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოპოვების ბრწყინვალე შესაძლებლობანი.

აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული უთანასწორო ბრძოლის პირობებში ჩვენი პოლიტიკისა და პოლიტიკოსების უმთავრესი საზრუნავია — არანაირად არ ავყვეთ გარედან თუ შიგნიდან აღძრულ აშკარა თუ პატრიოტული შეფერილობის სამხედრო და იდეოლოგიურ პროვოკაციებს, მთლიანად შევინარჩუნოთ ძალები და საფუძვლიანად ვემზადოთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის. გალის პროვოკაცია დიდ მასშტაბებზე იყო გათვლილი. ამიტომ, მომავალშიც არ ვართ დაზღვეულნი მსგავსი ექსცესების განმეორებისაგან.

**თითოეულმა ქართველმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ უზარმაზარი გარეშე ძალა გვეომება. მის ბოროტ ზრახვებსა და გამიზნულ პროვოკაციებს ერმა უნდა დაუპირისპიროს ერთიანობა და ერთსულოვნება და არა ის, რაც დღეს ხდება.** ამას კი აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს გაერთიანებისა და საყოველთაო შერიგების კეთილი ნება.

ესაუბრა **გურამ მექერიშვილი.**

## კანონმდებლები

# პლენარულ სხდომაზე

(პირველი გვერდიდან)

პარლამენტმა კენჭისყრის შედეგად მიიღო გუშინდელ სხდომაზე განხილული კანონპროექტები „საქართველოს [illegible] შესახებ“ და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“.

დეპუტატებმა დღის სხდომაზე განიხილეს კანონპროექტები „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ „ნოტარიატის შესახებ“ „საქართველოს [illegible] საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“.

დღის მეორე ნახევარში პარლამენტარებმა კენჭი უყარეს და პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტები „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“, მეორე მოსმენით — „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“. პროექტის მეოთხე მუხლი, რომელიც შეეხებოდა [illegible] საცხოვრებელი ფართის მიხედვით და მარტოხელა შრომისუუნარო [illegible] ქირის [illegible], [illegible] თანხის [illegible] გების მიზნით. მეორე და მესამე მოსმენით, ერთდროულად, კენჭი უყარეს კანონპროექტს „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“. მიიღეს, აგრეთვე, ცვლილებები კანონპროექტში „რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“.

დეპუტატებმა მიიღეს დადგენილება „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ დამატებების შეტანის თაობაზე“ და „სამეწარმეო სფეროს მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობის მოწესრიგებისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“.

შემდეგ გაიმართა სამთავრობო საათი. მოწვეულმა ფოსტისა და კავშირგაბმულობის მინისტრმა ისაუბრა [illegible] მაუწყებლობის შეწყვეტის მიზეზების თაობაზე და აღნიშნა, რომ დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფის შემდეგ მაუწყებლობა უახლოეს ხანში აღდგება.

ამით საქართველოს პარლამენტის - 9 მაისის პლენარული სხდომა დასრულდა.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

## პარლამენტის თავმჯდომარე

# საქართველომ თავი გაართვა სირთულეებს და პროვოკაციას არ აჰყვა

საქართველოში სტუმრად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების სენატისა და კონგრესის ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენლებისა და ამერიკა-თურქეთის საბჭოს წევრთა დელეგაცია.

დღეს დელეგაციის წევრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ მიიღო. აღსანიშნავია, რომ საბჭო ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის კომერციული და კულტურული ურთიერთობების სფეროში. მისი წევრები არიან ორივე ქვეყნის მულტინაციონალური საშუალო და მცირე კომპანიები. უკანასკნელ პერიოდში კი საბჭოს საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ზოგიერთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოც იღებს.

როგორც შეხვედრაზე სტუმრებმა აღნიშნეს, საქართველოს ტერიტორია განიხილება, როგორც კასპიის ძირითადი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის ყველაზე უფრო მისაღები ვარიანტი.

ამით იყო განპირობებული დელეგაციის წევრთა მრავალი შეკითხვა საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

ზურაბ ჟვანიას შეფასებით, ბაქო-საქართველო-ჯეიჰანის პროექტის, ისევე, როგორც ევრაზიული დერეფნის პროექტის განხორციელება, სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალიას შექმნის, არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ ცენტრალური აზიის ბევრ სახელმწიფოში, და რაც უფრო ახლოვდება ამ პროექტის განხორციელების გადამწყვეტი სტადია, მით უფრო აქტიურდებიან ის ძალები, რომელთაც კარგად ესმით, რომ საქართველოში დესტაბილიზაციისა და ქაოსის პროვოცირება ამ პროექტებზე ხაზის გადასმაა. ამის ნათელი მაგალითი, ზურაბ ჟვანიას აზრით, აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში უკანასკნელ დღეებში განვითარებული პროცესებია. მცდელობა, ჩაითრიონ საქართველო ფართომასშტაბიან ომში, დარტყმა მიაყენონ მის როგორც ეკონომიკურ პოტენციალს, ასევე საერთაშორისო იმიჯს და, შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დააყენონ რეგიონის პოლიტიკური პერსპექტივა, სწორედ ეს გახლდათ ამ ძალების მიზანი. თუმცა, საქართველომ თავი გაართვა ამ სირთულეებს და არ აჰყვა პროვოკაციას.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ამ ვითარებაში საერთაშორისო თანამეგობრობის კიდევ უფრო გააქტიურებას გადამწყვეტი როლი ეკისრება.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

## რეზონანსი

# უშიშროების საბჭო სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს კონფლიქტის ზონაში მომხდარი ძალადობის გამო

(პირველი გვერდიდან)

უშიშროების საბჭო კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნების უფლებას, მოუწოდებს ორივე მხარეს შეასრულონ ამ თვალსაზრისით ნაკისრი ვალდებულებანი, მიესალმება ამ მიმართულებით დსთ-ის წევრი ქვეყნების ძალისხმევას, რომელიც გამოხატულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში (№S/1998/372), რომელიც მხარს უჭერს ლტოლვილთა დაბრუნებას და კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებას.

უშიშროების საბჭო გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას გალის რაიონში უსაფრთხოების პირობების გაუარესების გამო, რაც სერიოზულად აფერხებს ჰუმანური დახმარების ორგანიზაციების თანამშრომელთა, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის პერსონალისა და დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების საქმიანობას. საბჭო მოუწოდებს მხარეებს სრულად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, განახორციელონ მათთვის შესაძლო ყველა ღონისძიება, ერთობლივი მექანიზმის ჩამოყალიბების ჩათვლით, იმისათვის, რომ გააუმჯობესონ უშიშროების პირობები იმ მოქმედებათა გამოსაძიებლად და აღსაკვეთად, რომლებიც წარმოადგენენ როგორც მოსკოვის შეთანხმების დარღვევას, ასევე კონფლიქტის ზონაში ტერორისტულ აქტებს.

უშიშროების საბჭო თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს საქართველოს მეგობარ ქვეყნების ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობის კონსულტაციები გამართოს ორივე მხარესთან მისი მოხსენების 26-ე, 48-ე და 49-ე პარაგრაფების საფუძველზე, კერძოდ, მასში აღნიშნული დამცავი ძალების კონცეფციისა და სხვა შესაძლო ღონისძიებების თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა ორივე მხარის თანხმობა გენერალური მდივნის წინადადებაზე.

საბჭო ასევე სთხოვს გენერალურ მდივანს მოახსენოს საბჭოს აღნიშნული კონსულტაციების შედეგების შესახებ რაც შეიძლება სწრაფად და არა უგვიანეს 1998 წლის 12 ივნისისა“.

**საქინფორმი.**

## კონტაქტები

(პირველი გვერდიდან)

ათათურქის სახელობის აეროპორტში გულთბილი მიღების შემდეგ მასპინძლებმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, მისი თანმხლები პირები და ჟურნალისტები სტამბოლის საკონფერენციო ცენტრში მიგვიწვიეს.

სტუმრის მიღებისა და ხაზგასმული პატივისცემის აღმოსავლურ წესსა და ტრადიციას ყოველთვის იგრძნობთ თურქეთში, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს ხოლმე ის განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენი მეზობლები იჩენენ საქართველოსადმი, მისი ხელმძღვანელებისადმი. ასე იყო ამჯერადაც... თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა, რომელსაც დარბაზში შემოსვლისთანავე მქუხარე ოვაციით შეხვდნენ კონფერენციის მონაწილეები, გულთბილი მისალმების შემდეგ გვერდით მოისვა ბატონი ნიკო ლეკიშვილი, მეგობრულად მოიკითხა ჩვენი პრეზიდენტი, დაინტერესდა ვითარებით, რომელიც უკანასკნელ დღეებში შეიქმნა საქართველოში.

— „ევრაზიის დერეფნის“ შექმნა, — აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა, — მარტო ამ ორ ზღვას როდი აერთიანებს, იგი აერთიანებს ამ რეგიონის ხალხებსაც და სახელმწიფოებსაც. „აბრეშუმის გზა“ აღდგება ჩვენი და საქართველოს მეშვეობით. ქვეყნები, რომლებიც შავი და კასპიის ზღვების ირგვლივ მდებარეობენ, უნდა გაერთიანდნენ, რათა მივიღოთ ისეთი რეგიონი, რომელშიც შეიქმნება შესაძლებლობა ადამიანების, კაპიტალისა თუ მომსახურების თავისუფლად გადაადგილებისათვის. ჩვენი პროგრამები უნდა დაეხმაროს ამ ქვეყნებს დაძლიონ ბიუროკრატიული ბარიერები და გაიყვანონ ისინი სრულიად ახალ სივრცეზე. ამ ორი ზღვის ამბავი თუ ახალი ისტორია ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავწეროთ“.

თურქეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში რამდენჯერმე გაუსვა ხაზი საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ სერიოზულ პროცესში, რომლებმაც მნიშვნელოვნად უნდა შეცვალონ რეგიონის ეკონომიკური ვითარება. ილაპარაკა ყარსი-თბილისის რკინიგზაზე, ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენზე, რომელიც მჭიდროდ დააკავშირებს ჩვენი რეგიონის ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკასთან.

თურქეთის პრეზიდენტმა აუწყა კონფერენციის მონაწილეებს, რომ საქართველომ, აზერბაიჯანმა, თურქეთმა, თურქმენეთმა და ყაზახეთმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით...

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აზერბაიჯანისა და უკრაინის ვიცე-პრემიერები: აბიდ შარიფოვი და ვიქტორ გოლოვჩენკო, თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გულთბილი მისალმება და საუკეთესო სურვილები გადასცა კონფერენციის მონაწილეებს, რასაც ისინი მხურვალე ტაშით შეხვდნენ. შემდეგ მან აღნიშნა, რომ ჩვენი თანამშრომლობა კასპიისა და შავი ზღვის ენერგეტიკული რესურსების მოპოვებაში, მათი ტრანსპორტირების პროექტების შექმნასა და განხორციელებაში თავისი მნიშვნელობით სცილდება რეგიონის ფარგლებს, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული „აბრეშუმის დიდი გზის“ აღდგენასა და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის კონცეფციის განვითარებასთან. ითქვა, რომ XXI საუკუნის ამ გრანდიოზული პროექტით სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული ამერიკა, ჩინეთი, იაპონია, ევროპის კავშირი. მათ ცალ-ცალკე უკვე შემუშავებული აქვთ შესაბამისი სტრატეგიები ამ იდეის განსახორციელებლად. კარგი იქნებოდა, — განაგრძო ნიკო ლეკიშვილმა, — თუ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მონაწილეობით ჩამოყალიბდებოდა ერთგვარი საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც შეაჯერებდა მათ და ამის საფუძველზე გამოიმუშავებდა ერთიან სამოქმედო პროგრამას.

ამასთან, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „აბრეშუმის გზაზე“ მდებარე ქვეყნებში ხელი შეეწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, რადგან „დერეფანი“ მაშინ იქნება უსაფრთხო და სტაბილური, თუ იგი დემოკრატიული იქნება, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მხოლოდ ამგვარი ურთიერთობები გამორიცხავს ისეთ ვითარებას, როცა ვილაცის ინტერესები მეორე მხარის ინტერესების შელახვის ხარჯზე დაიცვება.

აქედან გამომდინარე, — დასძინა მან, — „აბრეშუმის გზის“ აღდგენით დაინტერესებულმა დიდმა სახელმწიფოებმა კვლავაც უნდა აღმოუჩინონ დახმარება რეგიონში ახლად აღმოცენებულ დემოკრატიებს. ამ საქმეში დიდი როლი შეიძლება შეასრულოს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ, რომლის შტაბ-ბინაც სტამბოლშია.

რაც შეეხება საქართველოს პოზიციას კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების მარშრუტებთან დაკავშირებით, ბატონმა ნიკომ განაცხადა, რომ საქართველო მიესალმება ყველა მიმართულებას, თუმცა, ცხადია, პირველ რიგში, დაინტერესებულია ე. წ. „დასავლეთის“, კონკრეტულად, ბაქო-სუფსა-ჯეიხანის მარშრუტის განხორციელებით. მან კონფერენციის მონაწილეებს განუცხადა, რომ უკვე მთავრდება სუფსის ახალი საექსპორტო ტერმინალის ნავთობსაცავების აგება, დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები ტრანსკასპიური ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობისათვის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესასწავლად...

თავისი სიტყვის დასასრულ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კიდევ ერთი წინადადება შესთავაზა კონფერენციის მონაწილეებს: — „დღეს ვიმყოფებით სტამბოლში, საიდანაც ერთი ხელის გაწვდენაზეა მესამე – ხმელთაშუა ზღვაც, რომლის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საუბარი, ალბათ, არც არის საჭირო. ვფიქრობ, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჩართვა ზემოთ აღნიშნულ პროექტებში კიდევ უფრო დააჩქარებს მათ წარმატებით განხორციელებას. ამიტომაც კარგი იქნება, თუ მომავალში კიდევ შევხვდებით, ამჯერად უკვე „სამი ზღვის ამბავის“ მოსაყოლად“.

სახელმწიფო მინისტრი მხოლოდ რამდენიმე საათით იყო სტამბოლში, კონფერენციამ კი სამი-ოთხი დღის პროგრამით განაგრძო მუშაობა.

თვითმფრინავში, ცოტა სული რომ მოვითქვით, დრო ვიხელთე და ბატონ ნიკოს შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვე:— საერთოდ, აღნიშნა მან, — კონფერენცია მეტად საინტერესო იყო, რადგან აქ პირველად გაკეთდა ასეთი სერიოზული აქცენტი მთლიანად რეგიონზე. აქ მარტო ნავთობსა და გაზზე არ იყო საუბარი, აქ იყო ლაპარაკი „აბრეშუმის გზაზე“, ყარსი-თბილისის რკინიგზის მშენებლობაზე და სხვა. როგორც ნახეთ, საქართველო ერთობ სერიოზულად ფიგურირებდა ყველა გამოსვლაში. განა საინტერესო არ არის, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელსაც არც გაზი აქვს და არც ნავთობი, ერთ-ერთ საკვანძო ადგილს იჭერს შავი და კასპიის ზღვების რეგიონის დიდ სივრცეში?

თურქეთის პრეზიდენტის გამოსვლაში მკაფიოდ დაფიქსირდა საქართველოს, როგორც სატრანსპორტო ქვეყნის მნიშვნელობა ბაქო-ჯეიხანის პროექტის განხორციელებაში. ითქვა ისიც, რომ „აბრეშუმის გზის“ აღდგენაც საქართველოს ინიციატივიდან გამომდინარეობს, რასაც ალტერნატივა არა აქვს. საინტერესო იყო, ჩვენი მოძმე აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერის, თურქეთის პრემიერ-მინისტრისა და უკრაინის ვიცე-პრემიერის გამოსვლები, რომლებმაც კიდევ უფრო გააფართოვეს ეს თემა და მხარი დაუჭირეს ამ მარშრუტს...

ჩემი აზრით, თურქეთის ხელმძღვანელობამ პირველად დააფიქსირა, რომ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში ისინი ვერ გაატარებენ ნავთობის იმ რაოდენობას, რაც თავმოყრილია კასპიისა და შუა აზიის აუზებში... ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი წლის ბოლოსათვის „დიდი ნავთობის“ ეს თემა საბოლოოდ იქნება ჩამოყალიბებულიც და გადაწყვეტილიც.

# ორი ზღვის ზღაპრული ამბავი რეალობად რომ იქცეს...

რაც შეეხება მიმართულებებს: — ისინი მრავალი იქნება, — ჩრდილოეთით, დასავლეთით თუ სამხრეთით. რომელი იქნება პირველი? — მე მაინც მგონია, რომ ბაქო-ჯეიხანის მიმართულება გაიმარჯვებს, რადგან პრინციპულად არის გამოკვეთილი ამერიკის პოზიცია. იმედი მაქვს, რუსეთიც უფრო რეალურად შეხედავს ამ პრობლემას, რადგან მისი ინტერესებიც იქნება დაცული.

რაც შეეხება წინადადებას, რომლითაც დავამთავრე ჩემი გამოსვლა – თუ ბაქო-ჯეიხანზე ვლაპარაკობთ, ჯეიხანი კი ხმელთაშუა ზღვაზე მდებარეობს, აქედან გამომდინარე, ცხადია, უნდა ჩამოყალიბდეს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ინტერესებიც.

უკვე დადგა ამ თემაზე საუბრის დრო. უფრო სწორედ ამას ასე თვლის ჩვენი პრეზიდენტი – ედუარდ შევარდნაძე. მე კი, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა, ეს მისი იდეა დავაფიქსირე.

მართლაც, სამი ზღვის ქვეყნების ასეთი თანამშრომლობა მეტად საინტერესო და ორიგინალური იქნება თავისი შინაარსით, რამაც, როგორც ნახეთ, მართლაც, დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრი იყო შეკითხვა, აზრთა ურთიერთგაცვლა, ასე რომ, იდეამ უკვე დაიწყო „მუშაობა“.

გავიხსენოთ, — თქვა ბატონმა ნიკომ, — „აბრეშუმის გზის“ აღდგენის იდეაც ამ სამი წლის წინათ ბევრს უტოპიად მიაჩნდა, მაგრამ იგი დღეს რეალობად იქცა. ვფიქრობ, ჩვენი პრეზიდენტის „სამი ზღვის“ იდეასაც ასეთივე ბედი ეწევა, რადგან იგი, როგორც „ევრაზიის დერეფანი“, ჰაერივით სჭირდება მსოფლიოს.

ალბათ, ასეც იქნება, რადგან თანადგომასა და ურთიერთთანამშრომლობის სიკეთეს არასოდეს ჰქონია საზღვარი.

**გია ჭელიძე.**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**სტამბოლი-თბილისი.**
**25 მაისი.**



### დახმარება გალიდან ლტოლვილებს

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გალის მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა საგანგებო შტაბი. მხარის რაიონების წარმოება-დაწესებულებები, ორგანიზაციები, ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს სურსათ-სანოვაგის, მედიკამენტების, პირველადი მოხმარების საგნების შეგროვებაში. ბოლო დღეების განმავლობაში ზუგდიდის რაიონში გადმოსული იძულებით ადგილნაცვალი მოსახლეობის დასახმარებლად მესამე სატვირთო ავტომანქანა გაიგზავნა.

### ტრადიციულად გულს იფხანს

პარტიზანებისა და თავდაცვის ჯგუფების მოქმედება მთელი ქვეყნის მოსახლეობის თანაგრძნობასა და მხარდაჭერას იმსახურებს. საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით ყველა ადამიანს უფლება აქვს იბრძოლოს თავისი მიწა-წყლის, საკუთარი ოჯახის დასაცავად, — განაცხადა ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა პრესკონფერენციაზე. რომელიც გალის რაიონში შექმნილ ვითარებას მიეძღვნა.

რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ჯარებმა ვერ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა, მათ აუცილებლად უნდა დატოვონ კონფლიქტის ზონა, — თქვა აკაკი ასათიანმა. აღნიშნა, რომ გალის რაიონში მომხდარი ტრაგედია სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა. ერთ-ერთ ფაქტორად კრიტიკულ სიტუაციაში ორატორმა ტრადიციულად ხელისუფლების არაადეკვატური მოქმედება მიიჩნია. და, საერთოდ, ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ლანძღვით გული იჯერა.

აუცილებელია აფხაზურ მხარესთან პირდაპირი მოლაპარაკების გამართვა, ეს პროცესი მომავალშიც უნდა გაგრძელდესო, — განაცხადა ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

საქართველოს რესპუბლიკა
№131. შაბათი, 30 მაისი, 1998 წელი.



# საქართველოს კანონი

# სახანძრო უსაფრთხოების შესახებ

ეს კანონი ადგენს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, აწესრიგებს ამ სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

## თავი I

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინები

კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

ა) სახანძრო უსაფრთხოება – ხანძრისაგან ფიზიკურ პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, აგრეთვე კერძო და სახელმწიფო ქონების დაცვა;

ბ) ხანძარი – არაკონტროლირებადი წვის პროცესი, რომელიც იწვევს მატერიალურ ზარალს, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზიანს აყენებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები – სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სოციალური და/ან ტექნიკური ხასიათის სპეციალური პირობები;

დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა – სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი – მოქალაქეთა ქცევის, წარმოების ორგანიზებისა და სათავსების (ტერიტორიის) მოვლა-პატრონობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევის აღკვეთასა და ხანძრის ჩაქრობას;

ვ) სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები – სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულების მიზნით გაწეული მოქმედება;

ზ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური – ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის, მასთან დაკავშირებული პირველი რიგის საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით, დადგენილი წესით, შექმნილი ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებების (ძალების, საშუალებების) ერთობლიობა;

თ) ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული პირველი რიგის საავარიო-სამაშველო სამუშაოები – ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის საბრძოლო მოქმედება, მიმართული ფიზიკურ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, კერძო და სახელმწიფო ქონების გადარჩენისა და დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად;

ი) სახანძრო-ტექნიკური პროდუქცია – სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი სპეციალური ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პროდუქცია, მათ შორის სახანძრო ტექნიკა, მოწყობილობა და აღჭურვილობა, ცეცხლსაქრობი და ცეცხლდამცავი ნივთიერებები, სპეციალური კავშირისა და მართვის საშუალებები, პროგრამები ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისათვის და მონაცემთა ბაზები, აგრეთვე ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის სხვა საშუალებები;

კ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის გარნიზონი – განსაზღვრულ ტერიტორიაზე დისლოცირებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფებისა და ხანძრის ჩაქრობისათვის განკუთვნილი სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებების ერთობლიობა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა;

ლ) საწარმო – საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, სადაც დამოუკიდებლად ან ორგანიზებულად ხორციელდება პროდუქციის შექმნა, საქმიანობა, მომსახურების გაწევა.

### მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას და შედგება ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

### მუხლი 3. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა

1. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა არის ხანძართან ბრძოლისათვის მიმართული ძალებისა და საშუალებების, აგრეთვე სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებათა ერთობლიობა.

2. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი სუბიექტებია:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

გ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობენ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

3. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამართლებრივი რეგულირება და სახელმწიფო ღონისძიებების გატარება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში;

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის შექმნა და მისი საქმიანობის ორგანიზაცია;

გ) სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

დ) სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სისტემის სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების რეალიზება;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა და მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;

ვ) მოხალისე მეხანძრეებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის საქმიანობისათვის ხელის შეწყობა, მოსახლეობის მობილიზება სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

ზ) სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფა;

თ) სახანძრო უსაფრთხოების სფეროს საინფორმაციო უზრუნველყოფა;

ი) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება;

კ) სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოება;

ლ) სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულება, მომსახურების გაწევა, საქმიანობის (სამუშაოს, მომსახურების) ლიცენზირება (შემდგომში – ლიცენზირება), პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაცია (შემდგომში – სერტიფიკაცია);

მ) ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა სოციალური და ეკონომიკური სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელება;

ნ) ხანძრის ჩაქრობა და მასთან დაკავშირებული პირველი რიგის საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება (შემდგომში – ხანძრების ჩაქრობა);

ო) ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვა.

## თავი II

## ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები

### მუხლი 4. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების სახეები და ძირითადი ამოცანები

1. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური იყოფა შემდეგ სახეებად:

ა) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები;

გ) ტყეების ხანძრისაგან დაცვის სამსახური;

დ) საუწყებო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური;

ე) ნებაყოფლობითი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური;

ვ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის გაერთიანებები.

2. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ძირითადი ამოცანებია:

ა) ხანძრის თავიდან აცილების ორგანიზაცია;

ბ) ხანძრის ჩაქრობა.

3. მასობრივი უწესრიგობების აღკვეთისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებებში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები მონაწილეობენ მხოლოდ ხანძრის კერის ჩასაქრობად მათი ჩარევის აუცილებლობისას.

### მუხლი 5. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური

1. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური არის გასამხედროებული სახელმწიფო ორგანო და შედის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში დამოუკიდებელი ოპერატიული სამსახურის სახით.

2. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური:

ა) ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს საქართველოში სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას;

ბ) ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს ქალაქებისა და საწარმოების ხანძრებისაგან დაცვას, სხვა სამუშაოებსა და მომსახურებას სახანძრო უსაფრთხოების სფეროში;

გ) აქრობს ხანძრებს;

დ) ახორციელებს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფების საქმიანობის ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ე) კოორდინაციას უწევს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სხვა სახეების საქმიანობას;

ვ) შეიმუშავებს და ახორციელებს ერთიან სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას სახანძრო უსაფრთხოების სფეროში;

ზ) ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის კადრების მომზადებას, გადამზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

3. სხვა ამოცანები სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონით.

4. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სისტემაში შედის:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი, რომელიც ხელმძღვანელობს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სისტემას;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ორგანოები;

გ) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანოები და ქვედანაყოფები, აგრეთვე მათი საბაზინო საწარმოები.

5. ამ კანონის თანახმად ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი არის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობისა და სერტიფიკაციის სისტემის უმაღლესი ორგანო, აგრეთვე სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის სახელმწიფო დამკვეთი.

6. ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ტერიტორიული ორგანოები არიან ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც ხელმძღვანელობენ შესაბამის ტერიტორიაზე დისლოცირებული სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფების საქმიანობას.

7. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფებია:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ტერიტორიული ერთეულების დამოუკიდებელი ქვედანაყოფები, რომლებიც შექმნილია უმნიშვნელოვანეს ადმინისტრაციულ ცენტრებსა და ქალაქებში ხანძრების თავიდან აცილების ორგანიზაციისა და ჩაქრობის მიზნით;

ბ) ობიექტების დამცავი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სახელშეკრულებო ქვედანაყოფები, რომლებიც შექმნილია ეროვნული მეურნეობის ობიექტებზე ხანძრების თავიდან აცილების ორგანიზაციისა და ჩაქრობის მიზნით.

8. ობიექტების დამცავი სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფები უშუალოდ ემორჩილებიან ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტს.

9. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რიცხოვნობა განისაზღვრება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დამტკიცებული რიცხოვნობის ფარგლებში.

### მუხლი 6. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები

1. საქართველოს ტერიტორიული ერთეულების, აგრეთვე ეროვნული მეურნეობის ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე შესაბამის უწყებებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ შექმნან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები.

2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები ორგანიზაციას უწევენ და ახორციელებენ სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას, ხანძრის ჩაქრობას ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრებში.

3. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ხანძრის ლიკვიდაციასა და დაგეგმილ სახანძრო-ტაქტიკურ სწავლებებში.

4. ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევაში სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ძალებისა და საშუალებების ჩაბმა ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული განრიგის ან უშუალოდ მისი უფროსის ან მოადგილეების განკარგულებით.

5. აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფებში არსებული სახანძრო და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაკეთება, ჩამოწერა, სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და კერძო პირებისათვის გადაცემა ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტთან შეუთანხმებლად. აკრძალულია, აგრეთვე სახანძრო ტექნიკისა და სახანძრო-ტექნიკური შეიარაღების არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

6. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ორგანოები ინსპექტირებასა და მეთოდურ დახმარებას უწევენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს.

### მუხლი 7. ტყეების ხანძრისაგან დაცვის სამსახური

ტყეების ხანძრისაგან დაცვის სამსახური იქმნება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს შესაბამისი კანონმდებლობით.

### მუხლი 8. საუწყებო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური

1. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, საწარმოებს უფლება აქვთ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შექმნან საუწყებო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფები.

2. საუწყებო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფების ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი, მათი საქმიანობის განხორციელებისა და პირადი შემადგენლობის მიერ მოვალეობის შესრულების პირობები დგინდება შესაბამისი დებულებებით, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებთან შეთანხმებით.

3. კონტროლს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე საჰაერო, საზღვაო (სამდინარო), საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე, აგრეთვე მცურავ საზღვაო საშუალებებსა და ნავებობებზე მათი ექსპლუატაციის დროს ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო.

### მუხლი 9. ნებაყოფლობითი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური

1. ნებაყოფლობითი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური საზოგადოებრივ საწყისებზე მონაწილეობს დასახლებულ პუნქტებში, საწარმოებში ან სხვა ადგილებში ხანძრის კერების წარმოშობის თავიდან აცილებაში, აგრეთვე მისი ჩაქრობის ორგანიზაციაში.

2. მოხალისე მეხანძრე არის მოქალაქე, რომელიც ნებაყოფლობით (შრომითი ხელშეკრულების დაუდებლად) უშუალოდ მონაწილეობს ხანძრის თავიდან აცილებისა და/ან ჩაქრობის საქმიანობაში.

3. მოხალისე მეხანძრეთა რეგისტრაციისა და ქვედანაყოფების (რაზმეულების) შექმნის წესს ადგენენ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი და ავტონომიური რესპუბლიკების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ორგანოები.

4.მოხალისე მეხანძრეებს ეძლევათ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე მათი რეგისტრაციაში გამტარებელი საწარმოების მიერ დადგენილი სოციალური გარანტიები.

5. მოხალისე მეხანძრეები საქმიანობენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ დადგენილი და სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებთან შეთანხმებული მორიგეობის გრაფიკის შესაბამისად.

### მუხლი 10. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის გაერთიანებები

ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის გაერთიანებები (საზოგადოებრივი გაერთიანებები, კავშირები, ასოციაციები, სახანძრო უსაფრთხოების ფონდები და ა. შ.) იქმნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების გადაწყვეტის, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პირადი შემადგენლობის უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. აღნიშნული გაერთიანებები საქმიანობენ წესდების საფუძველზე.

### მუხლი 11. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობა

1. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობა სახელმწიფო საზედამხედველო საქმიანობის სპეციალური სახეა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების თანამდებობის პირთა მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვისათვის, კონტროლისათვის და დარღვევების აღსაკვეთად.

2. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტის, ავტონომიური რესპუბლიკების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ხელმძღვანელები არიან, შესაბამისად, საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები.

3. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირადი შემადგენლობის თანამდებობათა ჩამონათვალს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელების სფეროში ადგენს საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი.

4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების თანამდებობის პირებს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებისას უფლება აქვთ:

ა) დადგენილი წესით შეიმუშაონ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი და სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების მარეგლამენტირებელი აქტები;

ბ) განახორციელონ სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ (მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულებაზე;

გ) შეიტანონ წინადადებები აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა შესრულების თაობაზე;

დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულების კონტროლისა და დარღვევების აღკვეთის მიზნით ჩაატარონ ტერიტორიების, შენობების, ნაგებობების, საწარმოების სათავსებისა და სხვა ობიექტების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შევიდნენ საცხოვრებელ და სხვა შენობებში, მოქალაქეთა მიწის ნაკვეთებში, თუ არსებობს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები, რომლებიც ქმნის ხანძრის გაჩენის საფრთხეს და/ან ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას;

ვ) მონაწილეობა მიიღონ მშენებლობის მოედნების შემრჩევი კომისიის, აგრეთვე დამთავრებული (რეკონსტრუირებული) ობიექტების მიმღები კომისიის მუშაობაში;

ზ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან დასაბუთებული გადახვევის ან ასეთი მოთხოვნების არარსებობის შემთხვევაში განიხილონ და შეითანხმონ საწარმოების, შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის, გაფართოების, ტექნიკური გადაიარაღებისა და ქალაქმშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

თ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის ფარგლებში ჩაატარონ საპროექტო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შერჩევითი შემოწმება იმ საწარმოებში, რომლებიც ასრულებენ საპროექტო და საპროექტო-საძიებო სამუშაოებს;

ი) საწარმოთა ხელმძღვანელებს, თანამდებობის პირებს, ფიზიკურ პირებს მისცენ შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობები სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევების აღმოსაფხვრელად, აგრეთვე იმ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებიდან მოხსნის, გამოშვების შეწყვეტისა და რეალიზაციის შეჩერების შესახებ, რომლებიც არ შეესაბამებიან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

კ) შეაჩერონ მთლიანად ან ნაწილობრივ საწარმოს, საწარმოო უბნების, აგრეგატების მუშაობა, შენობების, ნაგებობების, სათავსების ექსპლუატაცია, ცალკეული სახის სამუშაოები (მათ შორის საწარმოების, შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და ტექნიკური გადაიარაღების დროს), თუ გამოავლენენ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებს, ან მათ შეუსრულებლობას, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას და/ან ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას;

ლ) კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოონ ხანძრისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევების მოკვლევა;

მ) გამოიძახონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფებში საწარმოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე ფიზიკური პირები წარმოებაში არსებულ იმ საქმეებთან და მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ხანძრებს, მიიღონ მათგან საჭირო განმარტებები, ცნობები, დოკუმენტები და მათი ასლები;

ნ) დააკისრონ ადმინისტრაციული სახდელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის, მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამდებობის პირთა მითითებებისა და დადგენილებების შეუსრულებლობის ან არადროულად შესრულებისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უცხოელ იურიდიულ პირთა მფლობელობაში მყოფ ობიექტებზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამდებობის პირები ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებისას ასევე სარგებლობენ ამ მუხლით დადგენილი უფლებებით.

6. ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას ტყეებზე ახორციელებენ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოები, ხოლო მიწისქვეშა ობიექტებზე და ფეთქებადსაშიში სამუშაოების ჩატარებისას – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები.

7. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სხვა უფლებამოსილებათა რეგლამენტირება საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ობიექტებზე, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო ხომალდებზე, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტზე ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებს შორის შეთანხმების საფუძველზე.

8. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებისას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მითითებები და განკარგულებები სავალდებულოა შესასრულებლად მათი ხელქვეითებისათვის.

### მუხლი 12. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირადი შემადგენლობა

1. საქართველოს მოქალაქეები სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში მიიღებიან შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურში მიღების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირადი შემადგენლობა დაკავებული თანამდებობის მიხედვით იყოფა: უფროს, საშუალო, უმცროს მეთაურთა და რიგით შემადგენლობად, აგრეთვე მომსახურე პერსონალად, რომელთა სამსახურის გავლის წესი დგინდება შესაბამისი დებულებით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ისინი სარგებლობენ დადგენილი ფორმის ტანსაცმლით, რომელიც მათ ეძლევათ უფასოდ, ნორმის ფარგლებში.

3. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამშრომელთა საშტატო რაოდენობისა და სტრუქტურის (მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერთა შემადგენლობის) საკითხებს წყვეტენ თვით ეს ორგანოები შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ოფიცერთა შემადგენლობა ირიცხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საშტატო ერთეულებში და მასზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

5. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირად შემადგენლობას პროფესიული, სოციალური და სხვა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით შეუძლია კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანდეს ან ნებაყოფლობით შევიდეს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პროფესიულ კავშირში, ასოციაციასა და გაერთიანებაში.

6. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამშრომლები ატარებენ შესაბამისი წესით დადგენილი ფორმის ტანსაცმელს.

### მუხლი 13. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირადი შემადგენლობის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები

1. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლებსა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ოფიცერთა შემადგენლობას, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს მფარველობს სახელმწიფო.

2. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლებსა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ოფიცერთა შემადგენლობაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთათვის დადგენილი სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები და შეღავათები.

3. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ დაადგინონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პირადი შემადგენლობის სამართლებრივი და სოციალური დაცვის ამ კანონით გაუთვალისწინებელი სხვა გარანტიებიც.

4. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირად შემადგენლობაზე, რომელიც იცავს ხანძრისაგან შრომის მავნე და სახიფათო პირობების მქონე საწარმოებს, ვრცელდება ამ საწარმოების მუშაკთათვის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები და შეღავათები.

### მუხლი 14. სავალდებულო დაზღვევა და ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამშრომლებისა და მუშაკების დაღუპვის (სიკვდილის) ან დაშავების (დასახიჩრების) შემთხვევაში

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამშრომელთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას.

2. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლების სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების, აგრეთვე იმ საწარმოთა ხარჯზე, რომლებშიც შექმნილია ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები.

3. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამშრომელთა სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების შესანახი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსრებით, აგრეთვე იმ საწარმოთა სახსრებით, რომლებშიც შექმნილია ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები.

### მუხლი 15. ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში

1. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ფინანსური უზრუნველყოფა, მათ შორის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიხედვით, იგეგმება და ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი ბიუჯეტებიდან.

2. სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქვედანაყოფების დაფინანსება და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. აღნიშნულ სახსრებს ანაწილებს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი.

3. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე.

4. საწარმოებთან ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები ფუნქციონირებენ საწარმოთა სახსრების ხარჯზე.

იხ. მე-9 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№131. შაბათი, 30 მაისი, 1998 წელი.

აჭარის შემოერთების 120 წლისთავისათვის



ილია ჭავჭავაძე   იონა მეუნარგია   ნიკო ცხვედაძე   ალექსანდრე ნანეიშვილი

გურამ შარაძე

# დედასამშობლოსთან დაბრუნება

## პირველი ქართული სკოლის გახსნა ბათუმში 1881 წელს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №129-130.

„ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძემ ერთ-ერთი პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანად დაისახა ახლადშემოერთებულ ბათუმის მხარეში ქართული სახალხო სკოლების გახსნა.

ილიას მოწოდებით, ქართველების ახლა ყველაზე პირველი და უდიდესი მოვალეობა ის არის, რომ „ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველიფერში... თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, – ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგევით, ქართველობავ!“

ილიას ღრმა რწმენით, „ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება“, ხოლო ამ მიზნის მისაღწევი ერთადერთი საშუალებაა სახალხო სკოლების გახსნა ჩვენს სამშობლოში და პირველ რიგში, ახლადშემოერთებულ საქართველოში, „რადგანაც იქ სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან“ და „არ იქნება რომ ამ გარემოებამ ცოტად თუ ბევრად არ შეაფერხოს შკოლების გავრცელების საქმე“, სადაც საჭიროა, „მოწვეული იყვნენ უსათუოდ ქართული ენის მცოდნენი“ და სადაც „ქართული ენა უნდა დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებისა“.

მალე დიდმა ქართველმა მოღვაწეებმა (ი. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, თ. ჟორდანია, ა. წერეთელი, რ. ერისთავი, ნ. ცხვედაძე, გ. წერეთელი, ი. მაჩაბელი, ს. მესხი, ა. ფურცელაძე, ი. მეუნარგია...) დააარსეს ახალი ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის პირველი დამფუძნებელი სხდომა, მართალია, გაიმართა 1879 წლის 15 მაისს, მაგრამ საზოგადოების წესდება უკვე 31 მარტს იყო მიღებული.

მოღვაწეობის დასაწყისშივე საზოგადოებამ შეისწავლა სკოლების მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკოლების გახსნას ახლადშემოერთებულ მხარეში.

სხვათა შორის, ახლადშემოერთებულ აჭარაში, პირველ რიგში, ქართული სკოლების გახსნის აუცილებლობაზე მიუთითებდა შერიფ ხიმშიაშვილიც ჯერ კიდევ 1878 წელს, ივნისში, თბილისში, სტ. მელიქიშვილთან შეხვედრაზე ყოფნის დროს:

„... განათლებაი ეჭირება, ბატონო, იმათ (აჭარლებს). ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე აბდლურად დატოვოთ?!“ (იხ. „დროება“, 27. VI. 1878, № 126).

ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ 1879 წლის აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“ კვლავ დაუბრუნდა აჭარა-ქობულეთის მხარეში ქართული სკოლების გახსნის საკითხს და ახლადდაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ასეთი ამოცანა დაუსახა:

„არის კიდევ ერთი საზრუნავი საქმე, რომელსაც თუ ამ საზოგადოებამ ყური ათხოვა, საუკუნოდ მადლობას მიიღებს როგორც მთელი საქართველოსაგან, ისე ახლად საქართველოსთან შემოერთებულ ქვეყნებისაგან. აჭარა და ქობულეთი თუმცა თითქმის ერთი წელიწადია შემოგვიერთდნენ, მაგრამ იმათ ნამდვილს შემოერთებაზედ კი ჯერ ჩვენ არა გვიზრუნია რა...

თუ ჩვენი სიხარული აჭარა-ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ-ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა“.

1879 წელი ისე მიიწურა, რომ ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა, რამაც 1879 წლის 17 ნოემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე ნიკო ცხვედაძეს ათქმევინა:

„ჩვენ, ქართველ საზოგადოებას, ბევრი აღთქმა მიგვიცია ამ ახლადშემოერთებული ჩვენი თვისტომისათვის, მაგრამ საქმით კი ჯერ არა გაგვიკეთებია რა“.

ბათუმში ქართული სკოლის სასწრაფოდ გახსნის აუცილებლობასთან დაკავშირებით 1880 წლის 4 ივნისს გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომა. აი, ამ ისტორიული სხდომის ოქმიც:

„სხდომა
წ. კ. გ. ს. მმართველობისა 4 ივნისს 1880 წ.

დაესწრნენ: თავმჯდომარის ამხანაგი ი. გ. ჭავჭავაძე, ნ. ზ. ცხვედაძე, ი. ს. გოგებაშვილი, ი. გ. მაჩაბელი, თ. დ. ჟორდანია და ი. მ. მეუნარგია

მოისმინეს: 2. ბათუმში შკოლის გამართვაზე განკარგულების მოხდენა.

დაადგინეს: მიენდოს ბატ. ნ. ზ. ცხვედაძეს წაბრძანდეს ბათუმში და იქ გამოიკვლიოს ყოველივე საჭირო ცნობა შკოლის გასამართავად. რამდენიც საჭირო იქნება მიეცეს მას გზის ხარჯი და ყოველი ღონისძიება მოხმარებულ იქნას, რომ პირველს ენკენისთვეში შკოლა გამართული იყოს ან თვითონ ბათუმში, ან სხვა უფრო გამოსადეგ ადგილას. შკოლის ოსტატს დაენიშნოს ოთხმოცი თუმანი.

სეკრეტარი ი. მეუნარგია

„ბათუმის შკოლის გამართვა (ილიას ხელით მიწერილია დადგენილება:)

ბათუმის შკოლის შესახებ გადაწყდა, რომ ოსტატს დაენიშნოს ოთხმოცი თუმანი წელიწადში ჯამაგირად და სხვა ყოველისფერი სახარჯო საგანი ადგილობრივ იყოს გამოკვლეული. გამოკვლევა მიენდოს ბატონს ცხვედაძეს, რომელსაც მოგზაურობის ხარჯი მიეცეს და ყოველი ღონისძიება მოხმარებულ იქმნას, რომ პირველ სეკდემბერს შკოლა გამართული იყოს ან თვითონ ბათუმში, ან სხვა უფრო გამოსადეგ ადგილას. ილია ჭავჭავაძე“ (საქ. სახ. ისტ. არქივი, ფ. 481, საქმე 2, ფ. 80-81).

ამიტომ იყო, რომ 1880 წლის 14 ივნისს საზოგადოების გამგეობამ სწორედ ნიკო ცხვედაძეს მისწერა წერილი, რომელშიც ატყობინებდა, რომ გამგეობას განზრახული აქვს გახსნას ქართული სკოლა ბათუმის ოლქში და სთხოვს მას გაემგზავროს ბათუმში, სადაც უნდა შეისწავლოს რა პირობებში, სად და როგორ შეიძლება გაიხსნას სკოლა. ამავე წერილით გამგეობა ნ. ცხვედაძეს ანიჭებს უფლებას სკოლის გახსნის თაობაზე საზოგადოების სახელით აწარმოოს მოლაპარაკება ადგილობრივ ადმინისტრაციასთან (იხ. საქ. საისტ. არქ., ფონდი 481, საქმე № 33, ფ. 1).

როგორც გაზეთ „დროების“ კორესპონდენციიდან ირკვევა, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის დავალების შესასრულებლად ნიკო ცხვედაძესთან ერთად ბათუმში თითქოს გიორგი წერეთელიც გამგზავრებულა (თუმცა, სხვა წყაროებიდან ეს არ ჩანს):

„სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი, რომ პირველ სკოლას ბათუმში ხსნის „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კომიტეტი. ამ საქმის თაობაზედ, როგორც გაზეთებშიაც იყო მოყვანილი, ბათუმში იყო გაგზავნილი ორი წევრი ზემოდხსენებული საზოგადოების კომიტეტისა ბ. ბ., გ. ე. წერეთელი და ნ. ზ. ცხვედაძე და ამათი მეცადინეობით სკოლისათვის კარგი ადგილი უშოვნიათ... სასურველია, რომ ეს სკოლა სამაგალითო, მართლა რიგიანი და რამდენადაც შეიძლება, უნაკლო სკოლა იყვეს. ორი რამ არის აუცილებლად საჭირო ხეირიანი სკოლის გამართვისათვის: მატერიალური საშუალება და რიგიანი მასწავლებელი... რაც შეეხება მასწავლებელს – ამაზე მართებს კომიტეტს კარგათ მოფიქრება და კარგი მოძებნა. ყველა სკოლაში საჭიროა, რასაკვირველია, კარგი მასწავლებელი, მაგრამ ისე არსად არ არის საჭირო კარგი მასწავლებელი და ამავე დროს კარგი კაცი, კარგი ქართველი, როგორც ბათუმის სკოლისათვის...“

როგორც ჩანს, თბილისიდან ბათუმში ჩასულ ნ. ცხვედაძეს მოლაპარაკება ჰქონია ბათუმის სამხედრო გუბერნატორთან გენერალ-მაიორ კ. კომაროვთან. ეს უკანასკნელი 1880 წლის 26 ივლისს აცნობებდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ რადგან ბათუმის ოლქში სამოქალაქო წყობილება ჯერ არ დადგენილა და ოლქში მოსვლაც გაძნელებულია, სკოლის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ ქ. ბათუმში. ამასთან ერთად, გუბერნატორი ატყობინებს საზოგადოებას, რომ მან გასცა განკარგულება ქალაქის ტერიტორიაზე სკოლისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის გამოსაყოფად (მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი მტკნარი სიცრუე ყოფილა), სადაც წ. კ. გ. საზოგადოება სკოლის შენობას ააგებსო. გარდა ამისა, ბათუმში მუსულმან მოსახლეთა სიმრავლის გამო გუბერნატორს საჭიროდ მიაჩნია სკოლაში ისწავლებოდეს მუსულმანური სარწმუნოება, რომლის მასწავლებლად აქაური მოლა უნდა იქნეს მოწვეულიო (საქ. საისტ. არქ., ფონდი 481, საქმე № 33, ფ. 3; გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13).

ბათუმის სამხედრო გუბერნატორის გენერალ კ. კომაროვის აღნიშნული წერილის განსახილველად ილია ჭავჭავაძეს 1880 წლის 4 სექტემბერს მოუწვევია საზოგადოების საგანგებო სხდომა. გთავაზობთ ამ სხდომის საოქმო ჩანაწერს:

„სხდომა
წ. გ. კ. ს. მმართველობისა 4 სეკდემბერს (1880 წ.)

დაესწრნენ: ი. გ. ჭავჭავაძე, ნ. ზ. ცხვედაძე, რ. დ. ერისთავი და ი. გ. მეუნარგია.

მოისმინეს 2: ბათუმის სამხედრო გუბერნატორის წერილი, რომლითაც ის აცნობებს მმართველობას, რომ შკოლის გამართვა სამჯობინაროა თითონ ბათუმში და თუ საზოგადოება გააშენებს იქ შკოლას, ის თავის მხრით მიუზომავს შკოლისათვის საკმაო მიწას. ამას გარდა, ბატონი გუბერნატორი ფიქრობს, რომ საჭირო იქნებოდა ამ შკოლაში მოლასი მოწვევა მუსულმანების ყმაწვილებისათვის.

დაადგინეს: გუბერნატორს მიეწეროს მადლობა საზოგადოების სახელით თანაგრძნობის აღმოჩენისთვის და ეცნობოს, რომ მისი რჩევა შესახებ მოლის მოწვევისა სახეში მიღებული იქნება (ფ. 481, ს. 2, ფ. 89).

* * *

ბათუმის გუბერნატორის ქაღალდის მოსმენა ბათუმის შკოლის შესახებ.

ილიას ხელით: „გუბერნატორს მიეწეროს მადლობა საზოგადოების სახელით თანაგრძობის აღმოჩენისათვის და ეცნობოს, რომ მისი რჩევა შესახებ მოლის მოწვევისა სახეში მიღებულ იქნება.

თ. ილია ჭავჭავაძე“
(481, საქმე 2, ფ. 90).

სამხედრო გუბერნატორის ამ წერილის მიღების შემდეგ წ. კ. გ. საზოგადოებას გამგეობას ცნობილი ქართველი მეცნიერ-ი-ისტორიკოსის, აჭარის დიდი მოამაგის დიმიტრი ბაქრაძისთვის დაუვალებია ბათუმში სკოლისათვის გამოსადეგი ბინის დაქირავება. გ. ნიორაძის სიტყვებით, „დიდი ხნის ძებნის შემდეგ შეურჩევიათ ასეთი სახლიც, რომელიც მაშინდელ „ახმედიეს“ ქუჩაზე იყო და ეკუთვნოდა ვინმე გამბაროღლის. ეს ყოფილა სამოთახიანი ახალი სახლი (უფრო სწორად დამთავრების პროცესში მყოფი სახლი) დერეფნით, სამზარეულოთი და ეზოთი. ეს სახლი საზოგადოებას დაუქირავებია წელიწადში ორას სამოც მანეთად. მეპატრონეს სახლის გაქირავების ქაღალდი დაუწერია 1880 წლის 28 ოქტომბერს და ბედ დიმიტრი ბაქრაძისაგან მიუღია 50 მანეთი. მეპატრონეს პირობა დაუდვია შემდეგი თვის თხუთმეტამდე (15 ნოემბრამდე) სახლი სკოლის საჭიროებისათვის გადაეცა (იქვე, გვ. 13).

არქივს შემოუნახავს ეს საინტერესო დოკუმენტიც და მიმოწერა დიმიტრი ბაქრაძესთან:

„1880 წელს, 28 ოკტომბერს. მე, ღუსეინ ალა გამბაროღლიმ მივაქირავე „სწავლის გამავრცელებელს საზოგადოებას“ შკოლისათვის ქალაქს ბათუმში, ახმედიეს ქუჩაში, ჩემი საკუთარი სახლი, ახლად აშენებული სამი ოთახით, ერთის კარიდორით, კუხნით და ეზოთი, წელიწადში ორას სამოც მანეთად. ეს ფული მე, ღუსეინ ალამ უნდა მივიღო, რაკი სახლს შკოლის მასწავლებელს შესრულებულს ჩავაბარებ. სახლი შესრულებული იქნება, სამი ოთახი გაილესება, კუხნა ექნება საკუთარი მომავლის თვის (ნოემბრის) თხუთმეტამდე. ორას სამოც მანეთში ქირის ფულში მე ამ თავით მივიღე უფალი დიმიტრი ბაქრაძის ხელით ორმოცდაათი მანეთი. პირობა ამ სახლის მიქირავებაზე უნდა დაიწეროს სახლის გადაცემის დროს. ამ დღიდან უნდა ითვლებოდეს წლის ვადა.

Гусейн Гамбар-оглы
21 рубл выдан еще 18 ноября 1880 г. ДМ. Бакрадзе“ (ფ. 481, საქმე 33, ფ. 5-6).

* * *

„12 დეკემბერს 1880, ბათუმი, დიმიტრი ბაქრაძეს

თანახმად თქვენის ტელეგრამისა ამასთანავე წარმოგიგზავნით თქვენ ათ მანეთს სახლის ქირად.

ამ დღეებში ჩამოვა ბათუმში უ(ფალი) ნანეიშვილი, შკოლის ოსტატი და თქვენ იცით რა შემწეობასაც აღმოუჩენთ, შეეცადეთ, რომ საზოგადოებამ კარგად მიიღოს შკოლაც და ოსტატიც.

შკოლის სახლისთვის მიწის შოვნას ძალიან შეეცადეთ. ჩვენ თვითონ მივწერთ ამ დღეებში კომაროვს წერილს ამის თაობაზე.

თქვენი პატივისმცემელი
იონა მეუნარგია
თბილისი“.

შენობის შოვნის შემდეგ საჭირო იყო სკოლისთვის დგამავეჯის შეძენა, რაც წ. კ. გ. საზოგადოებას მალე შეუსრულებია: მას დაკვეთა მიუცია თბილისში მოხელე შათიროვისათვის და სულ რაღაც ორ თვეში – იმავე წლის დეკემბერში უკვე მზად ყოფილა მიცემული დაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, ღირებული 430 მანეთად.

ახლა უკვე წ. კ. გ. საზოგადოებას სრული საფუძველი ჰქონდა 1880 წლის 19 დეკემბერს ეპასუხა ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კ. კომაროვის 1880 წლის 26 ივლისის წერილზე, რომ სკოლისათვის შენობა ნაქირავებია, დამზადებულია საჭირო ინვენტარი და სკოლის მასწავლებლად მიწვეულია სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი.



აჭარლები.

გაზეთმა „დროებამაც“ არ დააყოვნა და 1880 წლის დეკემბერში (№ 227) აუწყა თავის მკითხველს:

„ამ ორი კვირის განმავლობაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით და ხარჯით ბათუმში იხსნება ქართული სკოლა. სხვაგან რომ სადმე იხსნებოდეს სკოლა, ჩვენ მაგდენ ყურადღებას არ მივაქცევდით; რასაკვირველია, სკოლის გახსნა ყოველთვის და ყოველგან სასიამოვნო და სანატრელია; მაგრამ ყველას სკოლის გახსნაზე გაზეთში სტატიების წერა არ არის საჭირო. აქ კი სულ სხვაა. ბათუმის სკოლას ჩვენ სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ... ჩვენ ერთმანეთისათვის დაკარგული და ერთმანეთისაგან განშორებული ძმები, ისევ შევერთდით, ისევ ერთ ხალხს შევადგენთ... და თუ ჩვენს შორის კიდევ ცოტაოდენი რამ განსხვავება და გარჩევაა – ამის მოსპობა ძნელი არ არის. მაგრამ რამ უნდა მოსპოს ეს განსხვავება? რა არის ისეთი საშუალება, რომელიც ნამდვილ ძმებად, ერთ დედის შვილად გაგვხდის ჩვენ ჩოლოქის იქითა და აქეთა საქართველოს შვილებს? ჩვენის აზრით, ერთი უმთავრესთაგანი ამგვარი საშუალება არის ქართული სკოლა. როგორც ზევით მოგახსენეთ, ბათუმის სკოლას სულ სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამ სკოლამ თავიდანვე, პატარაობიდანვე უნდა ჩაუნერგოს იქაურ მცხოვრებლებს გულში, რომ ისინი და ჩვენ ერთის მიწის შვილნი ვართ, ჩვენ და ისინი ერთს ისტორიულ ბედთან ვართ დაკავშირებულნი, რომ ჩვენ ერთი დედა-ენა გვაქვს, ერთი სამშობლო, ლიტერატურა უნდა გვქონდეს, ერთი ზნე, ერთი ხასიათი – რომ ერთის სიტყვით ჩვენ საუკუნოთ განუყრელი ძმები ვართ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს სკოლა სწორედ ამისთანა იქნება“ (იხ. „დროება“, 1880, № 227; შდრ. ვ. წულუკიძე, პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათუმი, 1982, გვ. 18).

ყოველივე ამის შემდეგ, 1880 წლის 19 დეკემბერს, წ. კ. გ. ს. გამგეობამ, როგორც ამას საზოგადოების წესდება მოითხოვდა, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკისაგან 1881 წლის იანვარში ბათუმში ქართული სკოლის გახსნის ნებართვა გამოითხოვა. ამ თხოვნის მიხედვით, ბათუმის სკოლა უნდა ყოფილიყო დაწყებითი სახალხო (საერო) სკოლა მე-3 თანრიგისა 60 ქართველი ბავშვისათვის სარწმუნოების მიუხედავად, ერთკლასიანი, სწავლების ოთხწლიანი კურსით: სასწავლო საგნებია: სადვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თვალსაჩინო სწავლება, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა.

ილია ჭავჭავაძისადმი გამოგზავნილ საპასუხო წერილში ერთი თვის შემდეგ კ. იანოვსკი სხვადასხვა შენიშვნისა თუ დაბრკოლების შექმნის მიუხედავად თანხმდება ამ სკოლის გახსნას.

პირველ მასწავლებლად ბათუმის ქართულ სკოლაში ილიამ გამოგზავნა შემდგომში ცნობილი პედაგოგი და მოღვაწე, პუბლიცისტი და ჟურნალისტი ალექსანდრე ნანეიშვილი (1857-1904), პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტი. მასვე დაევალა სკოლის მოწყობის და გახსნის წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. ალ. ნანეიშვილი ძალღონეს არ იშურებს წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის და პირადად ილია ჭავჭავაძის დავალების შესასრულებლად.

ალ. ნანეიშვილის ბათუმის სკოლის მასწავლებლად არჩევა მომხდარა საზოგადოების სხდომაზე 1880 წლის 4 ნოემბერს, ხოლო 12 დეკემბერს მიუღიათ დადგენილება ბათუმში სკოლის გახსნის პირობებზე. 25 დეკემბერს ჩატარებული სხდომის ოქმიდან კი ირკვევა, რომ ბათუმის სკოლის პროგრამა შეუდგენია ნ. ცხვედაძეს. ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ყველა დადგენილება ილიას ხელით არის ჩაწერილი ოქმებში. აი, ისინიც:

„სხდომა 4 ნოემბერს 1880 წ.

დაესწრნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, თ. ჟორდანია, ი. მაჩაბელი, გ. თუმანოვი, ი. გამყრელიძე, გ. წერეთელი, ა. სარაჯიშვილი, ი. მეუნარგია.

მოისმინეს: ბათუმის შკოლისათვის დ. ზ. ბაქრაძეს დაუჭერია სახლი წელიწადში 260 მანეთად; შკოლისათვის საჭირო მებელი მზათ არის. საჭიროა დაინიშნოს ოსტატი და გაიმართოს შკოლა.

დაადგინეს: ეყაროს კენჭი ერთადერთ კანდიდატს უფ. ალექსანდრე ნანეიშვილს, მედიკური აკადემიის სტუდენტს.

ილიას ხელით: „კენჭი ჩამოატარეს და ამოარჩიეს ალექსანდრე ნანეიშვილი, რომელსაც ამოუვიდა რვა თეთრი კენჭი, ორი შავი და ერთმა კენჭი არ მისცა. ხვალვე ეცნობოს ნანეიშვილს ტელეგრამით და თუ თანახმა შეიქმნება, გზის ფულად გაეგზავნოს რასაც მოითხოვს, ხოლო არაუმეტეს ოცდაათის თუმნისა იმ პირობით, რომ წლის განმავლობაში ჯამაგირიდამ გამოერიცხოს.

ილია ჭავჭავაძე“
(ფ. 481, 2, ფ. 98)

„სხდომა 12 დეკემბერს 1880 წ.

დაესწრნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, გ. თუმანოვი, თ. ჟორდანია, გ. წერეთელი, ი. მაჩაბელი, ი. მეუნარგია.

მოისმინეს: ბათუმის შკოლის გამართვა.

დაადგინეს (ილიას ხელი): „ბათუმში სკოლა გაიხსნას, შეძლებისამებრ, ათს იანვარს 1881 წლისას, წელიწადი სკოლის ხარჯისა და მოქმედებისა დაინიშნოს სეკტემბრიდამ სეკტემბრამდე. პირველ დაწყებითი სკოლის ხარჯი ამ რიგად იყოს: 1. მასწავლებელს დაენიშნოს ოთხმოცი თუმანი ჯამაგირი, 2. მოლას – ოცი თუმანი, 3. სახლის ქირა ოცდაექვსი თუმანი, 4. მოსამსახურეს თორმეტი თუმანი, 5. შეშისათვის ექვსი თუმანი. თუ ვინიცობაა საზოგადო კრებისაგან მონიჭებული კრედიტი არ გასწვდეს წლის განმავლობაში ხარჯსა, მომავალს კრებას მოხსენდეს და ეთხოვოს დამატებითი კრედიტი, რადგანაც მასწავლებელს თავის ოთახის მოწყობილობისათვის ხარჯი მოუნდება, ამიტომაც წინათ გადაწყვეტილ ოცდაათ თუმნიდამ მიეცეს დანარჩენი თორმეტი თუმანი და ნახევარი და გარდა ამისა რადგანაც მასწავლებელი დანიშნულია ოთხ ნოემბრიდამ, ჯამაგირი ამ დღიდამ მიეცეს ოთხს თებერვლამდე 1881 წ. წინად დანიშნულ ოცდაათის თუმნის უკან დასაბრუნებლად თვეში ერთი თუმანი დაეჭიროს მასწავლებელს და მაშასადამე ეხლავ სამი თუმანი დაეჭიროს, რადგანაც სამის თვის ჯამაგირი ეხლავ ეძლევა. სეკრეტარს (ი. მეუნარგია) მიენდოს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს სკოლის მებელის გაგზავნასა და გაგზავნილ იქმნას არაუგვიანეს 15 დეკემბრისას. მასწავლებელს მიეცეს მიწერილობა, რომ ოცდახუთს დეკემბრამდე უეჭველად ბათუმში იყოს და ეცადოს შეგირდები შეაგროვოს.

ილია ჭავჭავაძე“
(481, 2, ფ. 106).

„სხდომა 25 დეკემბერს 1880 წ.

დაესწრნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, გ. თუმანოვი.

მოისმინეს: ბათუმის შკოლის პროგრამა, შედგენილი ნ. ზ. ცხვედაძისაგან.

ბათუმის შკოლის სახლის შესახებ და საზოგადოთ ბათუმის შკოლაზე.

ილიას ხელით: „პროგრამა სკოლისა და გასაკვეთების რიცხვი დამტკიცებულ იქმნა და სეკრეტარს მიენდო ეს დამტკიცება და თვითონ პროგრამაც ვრცელს პროტოკოლში შეიტანოს იმ სახით, რა სახითაც გარჩეულ იქმნა და წარუდგინოს ბ-ნს მზრუნველს. სახლი უსათუოდ როგორც იქმნას უნდა ვიქირავოთ სკოლისათვის შესაფერი. ეგეც სეკრეტარს მიენდოს და მაგის შესახები მიწერ-მოწერა იქონიოს.

ილია ჭავჭავაძე“.
(ფ. 481, საქმე 2, ფ. 108).

(გაგრძელება იქნება).



პირველი ქართული სკოლა აჭარაში, რომელიც გაიხსნა ბათუმში 1881 წელს.



ძველი ბათუმი.

GCF

№5(20)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

## განიხილეს...

როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ დიდოსტატები გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, ლაშა ჯანჯღავა და საერთაშორისო ოსტატი ხვიჩა სუპატაშვილი. 5 მაისს ვოლგოგრადი – ელისტას გზაზე მომხდარი ავტოკატასტროფის შემდეგ გია გიორგაძე ელისტაში გაემგზავრა. სამი მოჭადრაკით ჩემპიონატის გაგრძელება ოლიმპიური სისტემით, რა თქმა უნდა, გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა.

24 მაისს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა შექმნილი სიტუაცია. აღინიშნა, რომ ტურნირმა ძირითადში შეასრულა თავისი ფუნქცია, შეირჩნენ საქართველოს ვაჟთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრები, ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირის მონაწილენი. **სტურუა, ჯანჯღავა** და **სუპატაშვილი** ტურნირის გამარჯვებულად გამოცხადდნენ. ჩემპიონის ოქროს მედალი არავის გადაეცა. პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო, რომ ნოემბერში გაიმართება საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი უძლიერესი ქალი და ვაჟი მოჭადრაკეები მიიღებენ მონაწილეობას.

* * *

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა ეროვნული არბიტრის წოდება მიანიჭა ოსტატ ნიკოლოზ ხეჩიაშვილს.

## სიახლენი „ფიდე-ში“

ფიდე-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა სლოვენიის ქალაქ ბლედში 16 მაისს მიიღო გადაწყვეტილება 1998 წლის დეკემბერში ლას ვეგასში მსოფლიოს 1998 წლის ვაჟთა ჩემპიონატის შესახებ. ზონალური ტურნირები უნდა გაიმართოს 1 ნოემბრამდე. ლას ვეგასში საპრიზო ფონდი 3 000 000 აშშ დოლარია.

* * *

აღმასრულებელმა კომიტეტმა საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის ჯ. მასის წინადადებით 14 წლის უკრაინელ რუსლან პონომარიოვს დიდოსტატის წოდება მიანიჭა. რუსლანი ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ნორჩი დიდოსტატია.

SOS!!!

## ჭადრაკის ფედერაციას აშამათებენ?!

როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, წლეულს ჩვენს მოჭადრაკეებს მრავალ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მოუწევთ მონაწილეობის მიღება, მათ შორის – მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში. სერიოზული მზადების და სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის გარეშე, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. არადა, მდგომარეობა საგანგაშოა. გასული წლის ოქტომბრის შემდეგ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც კი არ მიუღია. შამათი გარდუვალია. საინტერესოა ვინ და რატომ გაილაშქრა ქართული ჭადრაკის წინააღმდეგ?!

## ტურნირი ოთხ წრედ

ყალმუხეთის ორ რაიონულ ცენტრში ოთხ წრედ გაიმართა საინტერესო ტურნირი **ნონა გაფრინდაშვილის** და ცნობილი რუსი დიდოსტატების **ლუდმილა ზაიცევას, იულია დიომინას** და **ეკატერინე კოვალევსკაიას** მონაწილეობით.

ნონა გაფრინდაშვილმა 6 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მას მხოლოდ კოვალევსკაიამ (8,5 ქულა) გაუსწრო.

ინფორმაცია

## მიემღვნა 26 მაისს

ოთხთა ტურნირი გაიმართა თბილისში, თუმცა, ელისტისაგან განსხვავებით, დიდოსტატებმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, გია გიორგაძემ, თამაზ გიორგაძემ და საერთაშორისო ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ ერთმანეთთან ორ-ორი პარტია ითამაშეს.

4,5 ქულით 6 შესაძლებლიდან პირველობა არავის დაუთმო **ზურაბ აზმაიფარაშვილმა**, რომელიც ავტოკატასტროფის შემდეგ პირველად მიუჯდა საჭადრაკო დაფას. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა **გია გიორგაძე, თამაზ ტაბატაძემ** 2 ქულა მოაგროვა, **თამაზ გიორგაძემ** კი, რომელიც ამ ბოლო დროს იშვიათად მონაწილეობს ტურნირებში, 1,5 ქულით დაამთავრა ტურნირი.




## ახლახან დაისტამბა...

გამოვიდა ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროს“ მორიგი ნომერი, რომლის გარეკანიდან საქართველოს ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი გვიღიმის. ჟურნალში ბევრ საინტერესოს ნახავს მკითხველი, მათ შორის არის ქეთევან არახამიას წერილი „სამშობლო ყოველთვის ჩემთანაა“, თენგიზ გიორგაძის „დასკვნითი შეხვედრების სიმძაფრე“, ვიქტორ გოგლიძის „ჩემი შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონებთან“, დავით გურგენიძის „ბოლო წლების შედევრები“.

ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ ჭადრაკის სასახლეში, ფასი – ერთი ლარი.

მაინც რა მოხდა ვოლგოგრად-ელისტის გზაზე?

# სიცოცხლის სიყვარულის ძალა





მაინც რა მოხდა ვოლგოგრად-ელისტის გზაზე, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეები მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** და დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი,** მათთან ერთად ბულგარელი დიდოსტატი **კირილ გეორგიევი** რომ დაშავდნენ?

მოხდა ის, რომ საკმაოდ მოსაწყენ და არცთუ კეთილმოწყობილ გზაზე ვოლგოგრადიდან მოჭადრაკეთათვის სპეციალურად მოვლენილი ავტომანქანა „ჰუნდაი“ დიდი სიჩქარით მიდიოდა ელისტისკენ. მძღოლთან, წინა მხარეს, ადგილი მაია ჩიბურდანიძეს ეკავა, მამაკაცები კი უკანა სავარძელში ისხდნენ.

ელისტამდე 12-იოდე კილომეტრი იყო დარჩენილი, სოფელ ტროიცკოესთან, წინ მიმავალმა სატვირთო მანქანამ უეცრად გადაწყვიტა მარცხნივ შეხვევა და ეს მოხდა დიდი სისწრაფით მიმავალი მანქანის „ცხვირწინ“. „ჰუნდაის“ მძღოლმა, პირდაპირ შეჯახების აცილების მიზნით, საჭე მარცხნივ აიღო, მაგრამ იგი ვეღარ გაასწორა, მანქანა გზიდან გავარდა, კიუვეტში გადაეშვა და სამჯერ გადატრიალდა...



**ზურაბ აზმაიფარაშვილი:** ჩემი პირველი ფიქრი მაიასკენ იყო მიმართული. იგი მანქანიდან გატყორცნილი, 10-12 მეტრში უგონოდ იყო, მთლად სისხლში მოსვრილი. ავტოკასტროფიდან 5-იოდე წუთში სასწრაფო დახმარებაც მოვიდა (ჩვენს ბედად, ახლახან გაუხსნიათ იქვე, რამდენიმე კილომეტრში). მაიას აღმოუჩინეს კვალიფიციური პირველი დახმარება და ელისტაში საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს...

აქვე დავძენთ, რომ აზმაიფარაშვილს, ისევე როგორც გეორგიევს, საკუთარი ტრავმები (თავის ტვინის შერყევა, ხელის მოტეხილობა, ნაკაწრები) არც გახსენებიათ და მხოლოდ ელისტას საავადმოყოფოში „ჩაბარდნენ“ ექიმებს...

ფეხზე დადგა ელისტა, ყალმუხეთი, ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, ადგილობრივი საზოგადოება, განსაკუთრებით – ქართველი მოსახლეობა, რომელთაგან მზრუნველობით გამოირჩეოდა ანა გელაშვილი. მაიასთან საქართველოდან ჩავიდა მოძღვარი მამა რაფაელი, რამაც განსაკუთრებით კარგად იმოქმედა ავადმყოფის მდგომარეობაზე.

– მაია განსაცვიფრებელი ტემპებით, დღედაღღე იკრებდა ძალებს, – ამბობს აზმაიფარაშვილი, – სულ მალე უკვე გარკვეული ინტერესი გამოხატა მომავალ ტურნირებში მონაწილეობაზე, ბარათიც კი დაწერა. როგორც ჩანს, სიცოცხლის უდიდესმა სიყვარულმა, უზარმაზარმა შინაგანმა ენერგიამ, რითაც ასე გამოირჩევა მაია, კეთილმყოფელი გავლენა იქონია და იგი უკვე საკმაოდ კარგად გრძნობს თავს, გუშინდელი მონაცემებით, სეირნობს კიდეც საავადმყოფოს ეზოში. იმედია, რამდენიმე დღეში მას საკუთარი თვითმფრინავით თბილისში ჩამოგვიყვანს კირსან ილუმჟინოვი და საქართველო სიყვარულით ჩაიხუტებს თავის სახიქადულო შვილს.

**ანზორ ბასილაია.**

**სურათებზე: ასე გამოიყურებოდა ავტომანქანა „ჰუნდაი“, რომლის დამსხვრეული ღია კარი ნათლად მიუთითებს ავტოკატასტროფის სიმწვავეზე; ზურაბ აზმაიფარაშვილი და მაია ჩიბურდანიძე ავტოკატასტროფის პირველ დღეებში.**

საქართველოს რესპუბლიკა
№131. შაბათი, 30 მაისი, 1998 წელი.

რეგიონი





# ბათუმელთა წინსვლა

შოთა ინწკირველის მემორიალში ტრადიციულად წარმატებით ასპარეზობენ ბათუმელი მოჭადრაკეები. შარშან უჩა დუაძემ გაიმარჯვა უმცროსი ასაკის მოჭადრაკეთა შორის. წლეულს კი აჭარელმა მოჭადრაკეებმა დუბლი გააკეთეს; ორივე პირველი ადგილი დაიკავეს. გოგონებში უძლიერესი იყო თინიკო ბერიძე, ბიჭუნებში კი – გაიოზ ნიგალიძე.

გთავაზობთ თინიკო ბერიძის და გვანცა იმნაძის პარტიის დაბოლოებას, რომელიც ბერიძემ ლამაზი კომბინაციით დააგვირგვინა. (იხ. დიაგრამა).



20. კh7 მფf8 21. ლf5 ეe7 22. ლf7 ეf7 23. მg6X

საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ პირველობებზე წარმატებით თამაშობენ მიხეილ გოგუაძე, ნათია ვაჩეიშვილი, მიხეილ ქანთარია, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, ზვიად ქათამაძე და სხვები.

ეს ბავშვები ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში არსებულ საჭადრაკო კლუბ „ციცინათელაში“ იმაღლებენ ოსტატობას გამოცდილ მწვრთნელებთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ გურამ ჭანტურიას, ნუგზარ ნიჟარაძის, ლეონიდ ნეურონოვის, ფელიქს მელქონიანის, კობა კვიყინაძის ხელმძღვანელობით.

**დავით ჯაფარიძე.**

**სურათებზე: სოფიკო ბერიძე მწვრთნელ ნუგზარ ნიჟარაძესთან ერთად; გაიოზ ნიგალიძე; უჩა დუაძე და მწვრთნელი გურამ ჭანტურია.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.

„სტუდენტური თამაშები-98“

# პირად შეხვედრაში მოგების წყალობით

წლევანდელ სტუდენტურ თამაშებში 16 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. პირველ ჯგუფში 6 გუნდი შარშანდელი შედეგების მიხედვით შეირჩა. ფავორიტებად საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭადრაკეები ითვლებოდნენ. ორივე გუნდმა 16-16 ქულით დაამთავრა ტურნირი. პირველი ადგილი „პოლიტექნიკოსებს“ მიეკუთვნათ, რადგან მათ პირად შეხვედრაში 3:1 დაამარცხეს უშუალო მეტოქე. დიდოსტატმა გიორგი ყაჭეიშვილმა საერთაშორისო ოსტატი ალექსანდრე დგებუაძე დაამარცხა, ოსტატმა მიხეილ მჭედლიშვილმა საერთაშორისო ოსტატი რომან სიჭინავა, ხოლო საერთაშორისო ოსტატმა სოფიკო ტყეშელაშვილმა დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ერთადერთი ქულა დიდოსტატმა ნინო ხურციძემ მოუტანა. მან საერთაშორისო ოსტატი ნატო ეძგვერაძე დაამარცხა.

მესამე ადგილზე სპორტის აკადემიის სტუდენტები არიან.

მე-7-16 ადგილებისთვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგი სამედიცინო აკადემიის, სამხატვრო აკადემიის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის სტუდენტებმა აჩვენეს.

**შიო ბექაური.**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი, თამაშობენ ფავორიტები.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.



პრაქტიკა

კარგა ხანია ვლადიმირ კრამნიკი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება, თუმცა, აქამდე ვერც გარი კასპაროვთან მოახერხა მატჩის თამაში და ვერც ანატოლი კარპოვთან. რაც შეეხება მის ახლანდელ მოწინააღმდეგეს პრეტენდენტთა ახლანდელ ორთაბრძოლაში ალექსეი შიროვს, წლევანდლამდე იგი საერთოდ არ ითვლებოდა მსოფლიო ჩემპიონების (!) შესაძლებელ მეტოქედ, მაგრამ ლინარესში მისმა წარმატებამ მდგომარეობა შეცვალა. აქ ხომ ყოფილმა რიგელმა, ახლა კი ესპანეთის მოქალაქემ კასპაროვიც ჩამოიტოვა და კრამნიკიც. შიროვი თავისი კომბინაციური, შემტევი სტილით იპყრობს ყურადღებას, მის პარტიებს, როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს ისინი, გულშემატკივრები ყოველთვის დაძაბულობაში ჰყავს.

# საღ ნახავთ ასეთ შეწირვას?!

სად ნახავთ ისეთ ფანტასტიკურ ფინალს, როგორც კრამნიკისა და შიროვის ერთ-ერთ პარტიაში (ლინარესი, 1994) შეიქმნა. მთელი შეხვედრა კრამნიკის უპირატესობით მიმდინარეობდა და თითქოს შავებს ველარაფერს უშველიდა. ეტყობა, კრამნიკიც ასე ფიქრობდა. კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა შიროვმა მდგომარეობის ხსნის არაჩვეულებრივ გეგმას მიაგნო. მივადევნოთ თვალი... (იხ. დიაგრამა).

**კრამნიკი — შიროვი**



შავებს ფიგურა აკლიათ. მერე რა! მომდევნო სვლით შიროვი მეტოქეს ეტლს სთავაზობს!

31. ... ეe4

ეტყობა, ერთადერთი შანსია. ახლა თეთრებს შეუძლიათ მოიგონ ეტლი ან მხედარი, უზარმაზარი მატერიალური უპირატესობა ექნებათ, მაგრამ შიროვიც მუქარებს შექმნის. აქ ორივე მეტოქე დროის მწვავე ნაკლებობასაც განიცდიდა.

32. მd5!?

როგორც შიროვმა პარტიის შემდეგ განაცხადა, მისთვის ეს სვლა მოულოდნელი აღმოჩნდა და იფიქრა, რომ ახლა უკვე ველარაფერი იხსნიდა. შემდეგ გამოირკვა, რომ უკეთესი იყო 32. მe2! თუმცა შავებს შეუძლიათ ბრძოლის გაგრძელება 32. ... მe3 33. ეe3 ეg6 34. მg3 ეe3 35. ლe3 ლg3, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ისინი თავს ველარ იხსნიდნენ. აი კრამნიკის მიერ შემოთავაზებული მომდევნო სვლებიც: 36. ეa2 h5 37. ლe1 ლf4 38. ლe8 მფh7 39. ლe5 ლg5 40. ეe2 h4 41. ლe3 და თეთრები იოლად იგებენ.

32. ... cd 33. c6 ეf4

ერთადერთი სვლაა. თუ 33. ... ეc6, მაშინ 34. fe და 35. ეh3. 34. cb ერთი სვლაც და ... მაგრამ 34. ... ეe4! 35. ეc1?

ეს სვლა შავებს კარგ შესაძლებლობებს აძლევს. სჯობდა 35. b8ლ ლb8 36. fg ეg4 37. კd5 თეთრების უპირატესობით.

35. ... მფh7! 36. b8ლ!?

აქ კრამნიკმა თითქმის მთელი თავისი დრო დახარჯა და უარი თქვა ვარიანტზე, რომელსაც ყაიმისაკენ მივყავდით: 36. ეc8 ლg3! 37. b8ლ მh2 38. მფg1 ეe1 39. ლa1 ლe1 40. მფh2 ლh4

36. ... ლb8 37. fg ლh2! 38. ეf3 ეg4 39. b7?

აქ, რა თქმა უნდა სჯობდა 39. ეf2 ეfg6 40. კd5.

39. ... ეfg6

კურიოზული პოზიციაა. თეთრებს კვლავ ერთი სვლა აკლიათ ლაზიერის გასაყვანად, მაგრამ ამის დრო სად არის! თავის გადასარჩენად უნდა იფიქრონ.

40. ეc2

ეს უკვე საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა. აქ კრამნიკს უნდა ეთამაშა 40. b8ლ ლb8 41. ეf2 და კიდევ შეეძლო ყაიმისათვის ბრძოლა.

40. ... ეg2 41. ლg2 ეg2 42. ეg2 ლh1 43. მფf2 ლb1 და თეთრები დანებდნენ.

ჩვენ გვინდა დავეთანხმოთ პარიზის გაზეთ „რუსკაია მისლის“ კომენტატორ ლევ ხარიტონს, რომ „შეიძლება მთელი სიცოცხლის მანძილზე, მარტო იმიტომ ითამაშო ჭადრაკი, რომ ერთ-ერთი ასეთი პარტია შექმნა!“

შეიძლება, არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინ მოიგებს ამჟამად მიმდინარე მატჩს! მთავარია, რომ ასეთი მოჭადრაკეები არსებობენ.

**გივი გამრეკელი.**

## რომანტიკა

# მურმან დემურიას კომბინაციები

ანდრია დადიანის ლამაზი კომბინაციები, ზუგდიდში გათამაშებული, შემდგომში უამრავ საჭადრაკო გამოცემაში იბეჭდებოდა. არ ვიცი რა ბედი ელის ქვემოთმოყვანილ ორ კომბინაციას, მაგრამ დარწმუნებული ვარ „ლაზიერის“ მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა მათ. ეროვნული ოსტატის მურმან დემურიას და ოსტატობის კანდიდატის რევაზ კიკიანის ამხანაგური მატჩის დროს ზუგდიდში, მურმან დემურიამ თეთრებით ორი ლამაზი კომბინაცია განახორციელა.

**დემურია — კიკიანი**



შავებმა დებიუტში ბევრი ტემპი დაკარგეს, მაგრამ ბოლო სვლის შემდეგ 14. ... მb6, ოპტიმისტურად განეწყვნენ. უაღრესად ეფექტურია 15. ლd8!! ეd8 16. ეd8 მფg7

17. კf8 მფf6 18. e5 მფe5
19. კg7 მფf5 20. g4 მფg4
21. ეg1 მფf5 22. მg3 მფf4
23. კh6 მფe5 24. f4 მფf6
25. მe4 მფf5 26. ეg5 მფe4
27. ეe5 მფf3 28. ეd3 მფg2
29. ეg5 მფh2 30. ეd2 მფh1
31. მფf2 ლa1 32. კe2 და შავები დანებდნენ გარდაუვალ შამათის გამო.

საინტერესოა მეორე კომბინაციაც.

**დემურია — კიკიანი**



თეთრების გამზადებული ბატარეის (ლc3 – ეe5) ასამოქმედებლად წინასწარი სამუშაოა ჩასატარებელი.

1. ეf4! ლf4 2. მh5! gh 3. ეg5 და შამათი მომდევნო სვლაზე.

საინტერესოა გაიზიარებენ თუ არა ეს კომბინაციები ანდრია დადიანის კომბინაციების ბედს.

**დავით გურგენიძე.**

## წარსულის ფურცლები

# ტალი და... მორფი



1968 წლის ნოემბერში გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატული თეატრი გამოჩენილი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის პირველ მემორიალს მასპინძლობდა. ტურნირში ცნობილი მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი, მიხეილ ტალი, ეფიმ გელერი, ედუარდ გუფელდი, ბუხუტი გურგენიძე და სხვები მონაწილეობდნენ. მე მთავარი მსაჯი გახლდით.

ერთხელ, სასტუმრო „ქართლში“, სადაც ყველანი ვცხოვრობდით, მიხეილ ტალმა ცალკე გამიხმო და ტანჯული კაცის გამომეტყველებით მთხოვა:

– უნდა დამეხმაროთ. ლამის შემჭამა თირკმელის ტკივილმა. ხომ ნახეთ გუშინ როგორ ვთამაშობდი?

– რა არის საჭირო?

– მიშოვეთ მორფის რამდენიმე ამპულა. გამითავდა, აფთიაქში კი არ მაძლევენ!

სახტად დავრჩი. გონებაში გამიელვა: ნუთუ ტალი ნარკომანია? მაშინ ჩვენში მხოლოდ იწყებოდა ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ. ამიტომ ტურნირის ერთ-ერთ ორგანიზატორს, გორის თავკაცს შალვა ბერიანიძეს მივაკითხე და დახმარება ვთხოვე.

– ნამდვილად იცი, რომ ნარკომანი არ არის? მაშინ დავეხმაროთ სტუმარს, – მითხრა ბატონმა შალვამ და გამაგზავნა იქ, სადაც რამდენიმე ამპულა მომცეს.

ტალი გამხიარულდა და ტურნირი წარმატებით დაასრულა: პირველობა არავის დაუთმო, თუმცა, მის თამაშში წინანდელი ნაპერწკალი არ იგრძნობოდა.

იმ ხანებში მიხეილ ტალი აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს საჭადრაკო ცხოვრებაში, მაგრამ ყოველთვის მზად იყო ჩვენს ტურნირებშიც ეთამაშა, ამიტომ 1969 წლის დამდეგს შევუთვალეთ, რომ დეკემბერში ვიწვევთ ვიქტორ გოგლიძის პირველ მემორიალში საასპარეზოდ.

მიხეილ ტალი თბილისში ცოტა ადრე, ნოემბერში ჩამოვიდა.

– ისევ მაწუხებს თირკმელი. გადავწყვიტე, თქვენთან გავიკეთო ოპერაცია, – გვითხრა შეხვედრისას.

ეს რომ გავიგონე, გორი გამახსენდა. ამ დროს უკვე ვიცოდი, რომ იგი ვაქკაცურად არ იმჩნევდა ტკივილებს. ამიტომაც ვერაფერს შეამჩნევდით, მით უმეტეს, რომ ტკივილდამაყუჩებლებს ღებულობდა.

ქართული ჭადრაკის მესვეურნი – არჩილ ჭირაქაძე, გიგლა გაჩეჩილაძე და სხვები მაშინვე დატრიალდნენ, შეეხმიანნენ აკად. გ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ სოკრატ არშბას. შესანიშნავმა დასტაქარმა მაშინვე მიიწვია ტალი საოპერაციოდ.

– რა კარგია, მემორიალამდე მოვმჯობინდები და თამაშსაც შევძლებ, – ამბობდა გახარებული მსოფლიოს ექსჩემპიონი.

ტალს არ აკლდა ყურადღება, მზრუნველობა. ინსტიტუტმა სწრაფად მოამზადა იგი საოპერაციოდ. ბატონმა სოკრატ არშბამ არ დააკლო თავისი ხელოვნება. ტალის სანახავად საავადმყოფოში რომ მივედი, დერეფანში მისი მეუღლე ლარისა შემხვდა.

– ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა, მიშა კარგადაა, მაგრამ რატომღაც იგი გისოსებიან პალატაში მოათავსეს! – შემომჩივლა ლარისამ.

მერე ტალის მკურნალმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ნოდარ ბეროძემ მიამბო:

– ამ პალატაში ბატონმა სოკრატმა შეგნებულად მოათავსა. გვითხრა: ნარკოტიკს რომ აღარ მივცემ (რაც არ დასჭირდება) თუ იგი ნარკომანია, კედლებზე დაიწყებს „სიარულს“. ამიტომ თავის დაზღვევა სჯობიაო. იხუმრა კიდეც: ახლა მორფის მიღებას სჯობს მორფის პარტიები არჩიოსო!

ბატონ სოკრატს მხედველობაში ჰყავდა XIX საუკუნის გენიალური ამერიკელი მოჭადრაკე პოლ მორფი.

... ტალი უკვე ყოჩაღად გრძნობდა თავს, როცა ბატონმა სოკრატმა იგი მატჩში „გამოიწვია“. ეს ისტორიული შეხვედრა „ლელოს“ ფოტორეპორტიორმა მიხეილ ზარგარიანმა ფირზე აღბეჭდა. თამაშს თვალს ადევნებს ნოდარ ბეროძე.

მალე მიხეილ ტალი საავადმყოფოდან გამოეწერა და კვირის თავზე, 17 დეკემბერს ვ. გოგლიძის მემორიალში ჩაება. თამაშობდა იგი დიდი აღმაფრენით. აი, მაგალითიც:

**ტალი — სუეტინი**

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მd4 a6 5. კd3 მe7 6. მc3 მbc6 7. მb3 მg6 8. 0-0-0 b5 9. კe3 d6 10. f4 კe7 11. ლh5 კf6 12. ეad1 კc3 13. მd4 ლc7 14. ეd2 მce7 15. მd4 კd7 16. f5 ef 17. ef მe5



18. მe6! კe6 19. fe g6 20. ლe5! de 21. ef შავები დანებდნენ.

საბოლოოდ, ტალმა პირველი-მეორე ადგილები გაიყო ბუხუტი გურგენიძესთან, რომელმაც ამ მიღწევისათვის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიიღო.

– ყველას, ყველას უღრმესი მადლობა, თქვენიანად მიგულეთ, – ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ტალი. შემოდგომაზე ისევ გვეწვია. ახლა უკვე ფოთში, საქართველოს 1970 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად...

**თენგიზ გიორგაძე.**

# ქალი და მამაკაცი

ფაშიზმთან ომის დროს, 1942 წელს ლონდონში მოეწყო ათი პარტიისაგან შემდგარი მატჩი ლეგენდარულ ვერა მენჩიკსა და ცნობილ გერმანელ მოჭადრაკეს, 75 წლის ჟაკ მიზეს შორის, რომელიც 1938 წლიდან ცხოვრობდა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში.

ჭადრაკის დედოფლის უპირატესობა საგრძნობი იყო და გაიმარჯვა კიდეც ანგარიშით 6,5:3,5. აქვე ვიტყვით, ხანდაზმულობის მიუხედავად, მიზესი მოიხსენიება მათ შორის, ვინც ცნობილია საჭადრაკო დღეგრძელობით და პრაქტიკაში ამართლებდა ოპტიმისტურ თეზისს: „ჭადრაკის ოსტატს შეუძლია 80 წლის ასაკამდე თამაში“ (ფ. ზემიში).

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს იყო პირველი სამატჩო პაექრობა მოჭადრაკე ქალსა და კაცს შორის. ასე მიაჩნდა ქალთა შორის მსოფლიო მესამე ჩემპიონს ე. ბიკოვასაც, მაგრამ ფაქტობრივად ასე არ არის – მატჩების ისტორია გაცილებით ადრიდან იწყება. აღწერილია გერმანელი მოჭადრაკეების ვილფრიდ და ლუი პაულსენების დის ამალიას (რომელსაც ოსტატს უწოდებენ) სამატჩო შეხვედრები. ამალიას ჯერ 1857 წელს ლუისთან უთამაშია მატჩი, რომელიც მხოლოდ ერთი ქულით წააგია. არ დაგვავიწყდეს, ლუი პაულსენი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა, მას მოგებული ჰქონდა პარტია თვით პ. მორფისთან. ორი წლის შემდეგ ამალია მეორე ძმას შეხვდა და ფრეს მიაღწია. ორივე მატჩი ექვს-ექვსი პარტიისაგან შედგებოდა.

ოთხი მატჩი უთამაშია ოსტატ გოროლდისთან ლონდონის ქალთა პირველ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს ინგლისელ მერი რაჯს. გოროლდი მას განდიკაპით ანუ ფორით (დაიწყო! – გ. მ.) ეთამაშებოდა – b 1 მხედრის გარეშე. შედეგი მისთვის სავალალო აღმოჩნდა: სამი მატჩი მოიგო მანდილოსანმა, ერთიც ფრედ დამთავრდა.

შანსების გათანაბრების აკვიატებულ ამბიციას არც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონის ემ. ლასკერის საჭადრაკო იმიჯისათვის მიუმატებია რაიმე: 1893 წელს, ამერიკაში საგასტროლო მოგზაურობისას გამართულ მატჩებში ლასკერი მხედრის ფორას აძლევდა ამერიკელ ნელი შოვალტერს და ინგლისელ ქეთ ფინის. ლასკერმა ორივე მატჩი წააგო, მათგან შოვალტერთან გამანადგურებელი ანგარიშით – 2:5.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია დაწერილებით შევჩერდეთ ყველა სამატჩო შეხვედრაზე, მათგან უფრო მნიშვნელოვანს, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით.

50-იანი წლების დასაწყისში მამაკაცებთან სამი მატჩი გამართა ქალთა შორის მრავალგზის ჩემპიონმა შანტალ შოდე დე სილანმა: ფრანგ ოსტატ პოპელთან გაიმარჯვა, შვეიცარელ კრიზოვანთან დამარცხდა (1,5:4,5), ხოლო შვეიცარიის წამყვან მოჭადრაკესთან საერთაშორისო ოსტატთან გ. გრობთან მატჩი ყაიმით (3:3) დაამთავრა.

მამაკაცებთან ორი მატჩი აქვს ნათამაშევი მაია ჩიბურდანიძეს: პირველი, 1977 წელს, მსოფლიოს ჩემპიონობაზე პრეტენდენტთა პაექრობისათვის მოსამზადებელ პერიოდში, მეორე – 1986 წელს, ამჯერად უკვე მსოფლიოს ჩემპიონის რანგში. პირველ მატჩში მაიას მოწინააღმდეგე იყო უკრაინის ერთ-ერთი წამყვანი ოსტატი სევასტოპოლელი ა. ზაიცევი, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 5,5:4,5. მეორე მატჩში მაიამ ტოლი არ დაუდო საერთაშორისო დიდოსტატს, იუგოსლავიის მაშინდელი ოლიმპიური გუნდის წევრს პ. პოპოვიჩს. მატჩი ფრედ 4:4 დამთავრდა.

პოლგართა საჭადრაკო ოჯახის სამატჩო შეხვედრების ანგარიში გახსნა დებს შორის ასაკით უფროსმა ჟუჟამ, 1987 წელს მისი მეტოქე იყო საფრანგეთის ოლიმპიური გუნდის წევრი ო. რენე, რომელმაც გაიმარჯვა მინიმალური უპირატესობით, 3,5:2,5.

ერთი წლით ადრე კი ვაჟებთან სამატჩო შეხვედრებში მოპაექრე მოჭადრაკე ქალთა მარაქაში შევიდი პია კრამლინგიც ჩაერთო. იგი ოთხი პარტიისგან შემდგარ მატჩში დაუპირისპირდა ნორვეგიელ მოჭადრაკეთა ლიდერს 18 წლის საერთაშორისო დიდოსტატს ს. აგდესტეინს. ფრე 2:2.

90-იანი წლების პირველი ნახევარი დები პოლგარების და ჩინელი სე ცზიუნის გამორჩეული აქტიურობით აღინიშნა. 1991 წლის მარტში, შუათანა დამ სოფიკამ ბოლო პარტიის მოგებით გააყაიმა მატჩი (3:3) ჰოლანდიელ გ. სოსონკოსთან. რაც შეეხება უმცროსს, 15 წლის იუდითი დოდოსტატ ლ. პოლუგაევსკისთან მატჩის დებიუტში ინარჩუნებდა წონასწორობას, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა პოლუგაევსკიმ.

სამაგიეროდ, მომდევნო მატჩები „გაზრდილმა“ იუდითმა წარმატებით ჩაატარა: 1993 წელს ბუდაპეშტში გაიმარჯვა მსოფლიოს ექსჩემპიონთან ბ. სპასკისთან (5,5:4,5), 1995 წელს სასტიკად დაამარცხა ჰოლანდიელი დიდოსტატი ი. პიკეტი (6:2), ხოლო შარშანწინ გაიმარჯვა ინგლისელ დიდოსტატ ჯ. მაილსთან (2,5:1,5).

სე ცზიუნმა 1995 წელს, მსოფლიოს ჩემპიონად ყოფნისას, ორი მატჩი გამართა შვეიცარიელ დიდოსტატთან ლ. ბრუნერთან და ერთიც – ვ. კორჩნოისთან. ბრუნერთან ბერნში წააგო 2,5:3,5, შანხაიში კი რევანში აიღო უკეთესი ანგარიშით 3,5:1,5. კორჩნოისთან ორი პარტია წააგო, ორიც, მატჩის დასაწყისში, ყაიმით დაამთავრა.

და ბოლოს, რამდენიმე სიტყვით ნონასა და მაიას განუხორციელებელ მატჩებზე იმ პერიოდში, როცა ისინი გვირგვინოსნები იყვნენ.

... ეს სენსაციური წინადადება ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მე-15 საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში გამოითქვა. მისი ავტორი იყო 19 წლის ამერიკელი დიდოსტატი რ. ფიშერი, რომელმაც ქედმაღლურად განაცხადა, რომ იგი მზად არის ნებისმიერ მოჭადრაკე ქალს მისცეს ფორა – მხედარი და სვლა, ხოლო გაფრინდაშვილს – მხედარი (ისევ მხედარი! – გ. მ.). თან ფიშერი სანაძლეოს დებდა 1000 ფუნტ სტერლინგს.

ნონამ მაშინვე აიტაცა ეს წინადადება: „ვფიქრობ, ამერიკელი ჩემპიონი მეტისმეტად თვითდაჯერებულია, – განაცხადა მან, – სიამოვნებით ვითამაშებდი მასთან მატჩს“. იგივე დაადასტურა ჭადრაკის დედოფალმა 1971 წელსაც. კითხვაზე, სურდა თუ არა მას ეთამაშა მატჩი მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონთან ბ. სპასკისთან, ნონამ უპასუხა: „რა თქმა უნდა“. ფიშერთან? „ფიშერთანაც! თან დასძინა: „მოჭადრაკე ქალების შეხვედრები ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონებთან ძალთა ასეთი შეფარდებით (მხედველობაში ჰქონდა ფორა, – გ. მ.) მუდამ ჩვენების (ე. ი. ქალების, – გ.მ.) გამარჯვებით მთავრდებოდა“.

მატჩი არ შედგა. ცხადი იყო ფიშერს, შესაძლოა მეგობრებმა გადააფიქრებინეს.

„გაამერიკელებული“ უნგრელი დიდოსტატი პ. ბენკო, პრეტენდენტთა ტურნირების მონაწილე, ნიუ-იორკში მარშალის სახ. საჭადრაკო კლუბში შეხვდა სტუმრად მიწვეულ მსოფლიოს ჩემპიონს და ასე მიმართა მაიას: „როდის დავიწყოთ მატჩი?“ საქმე ის გახლავთ, რომ ბენკოსთან მოლაპარაკება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. ე. გუფელდი იმასაც ამბობს, რომ ჩვენ უფრო დაინტერესებული ვიყავით მაიას მატჩით სეირავანთან ან ბენჯამინთან.

მოლაპარაკებების მიუხედავად, ამ შესაძლო მატჩებმაც ნონა – ფიშერის თუ ნონა – სპასკის მატჩის ბედი გაიზიარა.

**გიორგი მახარაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№131. შაბათი, 30 მაისი, 1998 წელი.

ღვაწლი

# მასშტაბური ჩანაფიქრი



ცნობილი ქართველი პრობლემისტი გივი მოსიაშვილი, რომელსაც ამ დღეებში დაბადების 50 წელი შეუსრულდა, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს საერთაშორისო კონკურსებში.

რუსთაველმა პრობლემისტმა პირველი ნაწარმოები 1966 წელს გამოაქვეყნა.

საამოცანო თეორიის კარგი ცოდნა და შედგენის მაღალი ტექნიკა, ორიგინალური სიუჟეტები, ჩანაფიქრის შინაარსის სიღრმე და თემათა მრავალფეროვნება განაპირობებს მოსიაშვილის ავტორიტეტს საჭადრაკო კომპოზიტორთა შორის. მისი ამოცანები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება. დღემდე გამოქვეყნებული 200-ზე მეტი ამოცანიდან 60-მა პრიზი დაიმსახურა, მათგან 20 ამოცანა პირველი პრიზით აღინიშნა.

ამჟამად გივი მოსიაშვილი შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდშია.

გთავაზობთ მოსიაშვილის ორსვლიან ამოცანას, რომელმაც მოსკოველი პრობლემისტის დიმიტრი ბანნის საიუბილეო კონკურში IV პრიზი მოიპოვა.

**გ. მოსიაშვილი**
**1997 წ.**



**შამათი ორ სვლაში**

ილუზორული თამაში 1. ... ეd4 2. მc1X; 1. ... მc3 2. მf2X მცდარი კვალია 1. h8ლ? მუქარებით 2. მc1X და 2. მf2X 1. ... ეf6 2. ლd8X 1. ... კf6 2. ლf5X გრიმშოუს თემა f6 უჯრაზე; მაგრამ 1. ... ეd5

ნამდვილი ამოხსნაა 1. კe5! 2. ლe4X-ის მუქარით 1. ... ეf4 2. მc1X; 1. ... კf4 2. მf2X გრიმშოუს თემა f4 უჯრაზე. 1. ...ეd4 2. ლd4X 1. ... მc3 2. მc5X. ამოცანაში განხორციელებულია რუხლისის თემა სრული სახით რუდენკოს თემის ფონზე.

კონკურსის მსაჯის, დიდოსტატ იაკოვ ვლადიმიროვის აზრით, ამოცანის ჩანაფიქრი მეტად საინტერესო და მასშტაბურია.

ფესვები

# ყმაწვილი საინგილოდან



ეს მაჟვერემანი ბიჭუნა საინგილოს სოფელ კახიდან არის, **მიშიკო ქიტიაშვილი.** მიშიკო უკვე სამი წელია სისტემატურად მონაწილეობს თბილისში გამართულ ნორჩთა ტურნირებში. კახში მიშიკოს და მის თანატოლებს ბელა ქიტიაშვილი ამეცადინებს. სულ ახლახანს დამთავრებულ 10 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე მიშიკოს საქართველოს დამსახურებული მხატვრის **თეიმურაზ ყუბანეიშვილის** პრიზი გადაეცა. ჭადრაკის დიდი გრფიალის ბატონ თეიმურაზის ოჯახმა ჭადრაკის ფედერაციას საჭადრაკო ლიტერატურა გადასცა. გამორჩეული ბავშვები ამ ლიტერატურით ჯილდოვდებიან. პირველი ასეთი წახალისება საქართველოს 12 წლის გოგონათა ჩემპიონს **ნონა დათუაშვილს** ხვდა წილად.

რეიტინგ-ლისტი

# ციფრების ენით

გარი კასპაროვისა და ესპანელ მეცენატ ლუის რენტეროს მიერ შექმნილმა ახალმა საჭადრაკო ორგანიზაციამ „მსოფლიო საჭადრაკო საბჭომ“ პირველად გამოაქვეყნა თავისი „რეიტინგ-ლისტი“, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ფიდეს მიერ იანვარში გამოქვეყნებულ ასეთივე სიისაგან. აქ ბევრი რამ არის საინტერესო: მონაცემები მსოფლიოს ექსტრა-კლასის დიდოსტატების შესახებ, „რეიტინგ-ლისტში“ რობერტ ფიშერის გამოჩენა, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს მისი აღშფოთება. ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ქართველ მოჭადრაკეთა ადგილი პროფესიონალთა შორის.

„მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს“ რეიტინგით პირველ ათეულში შედიან:

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) – 2808 პუნქტი. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) – 2775. 3. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) – 2756. 4. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) – 2708. 5. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) – 2705. 6. გატა კამსკი (აშშ) – 2701. 7. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) – 2699. 8. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) – 2687. 9. მაიკლ ადამსი (ინგლისი) – 2681. 10. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) – 2673.

სიაში გამოჩენილი მოჭადრაკე ქალებიც არიან წარმოდგენილი. 22. იუდით პოლგარი (უნგრეთი) – 2635. 52. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) – 2592. 157. სე ცზიუნი (ჩინეთი) – 2533. 214. ალისა გალიამოვა (რუსეთი) – 2515. 282. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) – 2497. 357. ქეთევან კახიანი (გერმანია) – 2482. 449. პია კრამლინგი (შვეცია) – 2465. 473. სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) – 2462. შეიძლება ამ სიამ ზოგი მკითხველი კიდევაც გააკვირვოს, მაგრამ „რეიტინგი“ ძირითადად ითვალისწინებს ქალების გამოსვლებს ვაჟთა შეჯიბრებებში.

რობერტ ფიშერს 50-ე ადგილი მიეკუთვნა 2594 პუნქტით. „რეიტინგის“ შემდგენლები არ განმარტავენ, თუ რას ემყარება ლეგენდარული მოჭადრაკისათვის ესოდენ დაბალი ადგილის მიჩენა. აი, ზოგიერთი განთქმული ვეტერანის მონაცემებიც: 42. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) – 2609. 200. ბორის სპასკი (საფრანგეთი) – 2518. 452. ვასილი სმისლოვი (რუსეთი) – 2465.

ახლა კი ქართველი მოჭადრაკეების მონაცემებს გადავხედოთ: 23. ზურაბ აზმაიფარაშვილი – 2634. 64. გია გიორგაძე – 2582. 96. გენადი ზაიჩიკი – 2559. 111. ზურაბ სტურუა – 2554. 127. გიორგი ყაჭეიშვილი – 2545. 219. ელიზბარ უბილავა – 2514. 236. ხვიჩა სუპატაშვილი – 2508. 371. ედუარდ გუფელდი – 2479. 389. ლაშა ჯანჯღავა – 2475. 416. სანდრო დგებუაძე – 2470.

აი, ზოგიერთი სხვა მოჭადრაკეც: 44. იონა ქოსაშვილი (ისრაელი) – 2606. 145. სერგო მოვსესიანი (ჩეხეთი) – 2536. 152. რომან ჯინჯიხაშვილი (აშშ) – 2534. 191. იგორ ეფიმოვი (იტალია) – 2520. 346. მიხეილ ქობალია (რუსეთი) – 2486.

შეიძლება ადგილების განლაგება ზოგ შემთხვევაში ჩვენს წარმოდგენებს არ შეესაბამება, ზოგჯერ გაოცებასაც იწვევს. მაგრამ ისინი ხომ კომპიუტერების მონაცემებს ემყარება. კომპიუტერებს კი დღეისათვის ხან უჯერებენ და-ხან არა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველებო?

**გივი თორელი.**

კომპოზიცია

# თეთრი და შავი ლაზიერის „პა-დე-დე“

„მშვენიერი ძნელია“
პლატონი.

**მშვენიერების პრობლემის გარკვევას ადამიანი უძველესი საუკუნეებიდან ცდილობს. თითქმის ყველა საუკუნის ფილოსოფოსი და ესთეტიკოსი ეჭიდებოდა მშვენიერების არსის, მისი ბუნების ჩაწვდომას. მშვენიერის არსის გარკვევას პლატონმა რამდენიმე დიალოგი დაუთმო. არსებობს მრავალი დეფინიცია მშვენიერების შესახებ, მაგრამ ის იმდენად მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია თავისი ბუნებით, რომ რომელიმე დეფინიციის ვიწრო სარეცელზე მისი მოთავსება ვერავინ შესძლო. პლატონის დეფინიცია მშვენიერის შესახებ საუცხოოდ მიესადაგა საეტიუდო ხელოვნებას. პლატონის აზრით, მშვენიერება რომელიმე კონკრეტული საგნისა და მოვლენის მშვენიერება კი არა, არამედ განყენებული ზოგადი იდეაა, „რომელიც ამკობს და მშვენიერებას ანიჭებს მასთან წილნაყარ ყველა საგანს“.**

**ზოგადი შესავლის შემდეგ გავეცნოთ რამდენიმე მაღალმხატვრულ ნაწარმოებს.**

**1922 წელს ი. ქოზეფმა გამოაქვეყნა მშვენიერ საჭადრაკო იდეაზე აგებული ეტიუდი.**

**გთავაზობთ ამ ეტიუდის ფრაგმენტს**

**ი. ჟოზეფი**
**1922 წ.**



**თეთრები იგებენ**

1. ლg8! ლa2! 2. ლf8 ლa3 3. ლe8! ლa4 4. ლe5! მფa8 5. ლh8! მოგებით.

თეთრი და შავი ლაზიერის დუელი, ხანმოკლე შერკინების მიუხედავად, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამ იდეამ კომპოზიტორთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეიქმნა მრავალი საინტერესო ნაწარმოები. გავეცნოთ კიდევ ერთ მათგანს.

**ვ. კალანდაძე**
**1970 წ.**



**ყაიმი**

1. ლh8! ლh8 2. b8ლ ლg7 3. ლb7! ლf6 4. ლb6 ლe5 5. ლb5 ლd4 6. ლb6!

ყაიმია მუდმივი დევნით.

როგორც ვხედავთ, ამ ეტიუდში ქოზეფის იდეა გამოყენებულია ყაიმის მისაღწევად, რაც იდეის უნივერსალობაზე მიუთითებს.

შემდეგი ნაწარმოები ჩვენი აზრით საუკეთესოა ამ იდეაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის.

**ვ. პროსკუროვსკი**
**1964 წ.**



**თეთრები იგებენ**

1. e8ლ ლh7! 2. მფc8! ლg7 3. ლd8 ლf7 4. ლh8 ლe7 5. ლg8! ba 6. ლg2 შამათით.

თავის დროზე ამ იდეამ დააინტერესა ამ სტატიის ავტორიც.

**ე. დავრანიანი**
**1988 წ.**



**თეთრები იგებენ**

1. ლh8! ლf7 2. a3!! ლf4 3. მფd7 ლb8 4. ლc3! ლe5! 5. ლc8! ლb8 6. ლc5 ლe5 7. ლf8! ლb8 8. ლb4 ლc8! 9. მფe7 მფb8 10. ლf4 მფa8 11. ლa4 მფb8 12. ლa7X

**როგორც ვხედავთ, ქოზეფის ეფექტურ საეტიუდო იდეაზე შეიქმნა ნამდვილად მშვენიერი საჭადრაკო ეტიუდები, რომელთაც დიდი ესთეტიკური ღირებულება გააჩნიათ.**

**ველიმირ კალანდაძე,**
საერთაშორისო ოსტატი.

GCF
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, ვაჟა შუბლაძე, კახა ჩიგოგიძე.

(მესამე გვერდიდან)

5. საუწყებო და ნებაყოფლობითი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება მათი მესაკუთრეების მიერ.

6. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის (სამუშაო, მომსახურება) სალიცენზიო, სახელმწიფო სერტიფიკაციის, მოსაკრებლების, საჯარიმო სანქციების სახით ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები კანონმდებლობით დადგენილი წესით წარიმართება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების მუშაკთა მატერიალური წახალისებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

**მუხლი 16. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქონება**

1. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს აქვთ მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

2. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქონების მიზნობრივი დანიშნულება არ შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოსთან შეუთანხმებლად.

3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, აგრეთვე, საწარმოები, რომლებშიც იქმნება ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები, სავალდებულო წესით გამოუყოფენ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფილ შენობებს, ნაგებობებს, სამსახურებრივ სათავსებსა და სხვა აუცილებელ ქონებას დადგენილი ნორმების შესაბამისად.

**მუხლი 17. წარმომადგენლობა**

სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ წარმომადგენლობას საერთაშორისო ფონდებში, კომიტეტებში, გაერთიანებებსა და სხვა ორგანიზაციებში ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

## თავი III
## სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობები

**მუხლი 18. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლება-მოვალეობები**

1. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ნორმატიული აქტების მიღება და კონტროლი მათ შესრულებაზე;

ბ) მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, შესრულების ორგანიზაცია და დაფინანსება;

გ) სახელმწიფო სტანდარტების, ნორმების, წესებისა და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავების ორგანიზაცია და დამტკიცება;

დ) სახანძრო უსაფრთხოებისათვის, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების შენახვისათვის, ცენტრალური ბიუჯეტის დაგეგმვა და მისი შესრულება;

ე) ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშზე მყოფი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ვ) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანიზაცია;

ზ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპების დადგენა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სოციალური და ეკონომიკური სტიმულირების განხორციელება, სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოება და შესყიდვა, აგრეთვე, ხანძართან ბრძოლაში მოსახლეობის ჩაბმა;

თ) ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების რიცხოვნობის დადგენა;

ი) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების უზრუნველყოფა აუცილებელი სახანძო-ტექნიკური პროდუქციით;

კ) იმ საწარმოთა, მათ შორის, ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფთა ნუსხის დადგენა, სადაც აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების შექმნა;

ლ) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ორგანიზაცია, ძირითადი მეცნიერული გამოკვლევებისა და დამუშავებათა კოორდინირება;

მ) სახელმწიფო საჭიროებისათვის სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის ნომენკლატურის, გამოშვების მოცულობის განსაზღვრა და მიწოდების წესის დამტკიცება;

ნ) სახელმწიფო საინფორმაციო უზრუნველყოფის, ხანძრებისა და მათი შედეგების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემების შექმნა;

ო) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფებში სამოქალაქო თავდაცვის ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებებისა და სამობილიზაციო დავალებების ორგანიზაციის ზოგადი პრინციპების დადგენა;

პ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებისთვის კადრების მომზადების, გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია;

ჟ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირადი შემადგენლობისა და მათი ოჯახების წევრების მიმართ სამართლებრივი და სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელება;

რ) სახანძრო უსაფრთხოების ფონდების შექმნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა;

ს) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამშრომელთათვის განმასხვავებელი ნიშნებისა და ფორმის ტანსაცმლის დადგენა.

2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან:

ა) უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოებში და შესაბამის ტერიტორიებზე სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა რეალიზაცია;

ბ) შექმნან და შეინახონ დადგენილი ნორმების თანახმად შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯებიდან დაფინანსებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები;

გ) გაუწიონ აუცილებელი დახმარება ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად;

დ) შექმნან პირობები ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის საქმეში მოსახლეობის ჩასაბმელად;

ე) ორგანიზაცია გაუწიონ ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდასა და მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას;

ვ) დააფინანსონ სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოები.

**მუხლი 19. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობები**

1. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება:

ა) სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა განხორციელება და შესრულების ორგანიზაცია;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შესრულებაში მონაწილეობა;

გ) სახანძრო უსაფრთხოებაზე, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების შენახვაზე ხარჯების გათვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტებში;

დ) სახანძრო უსაფრთხოების ფონდების შექმნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა;

ე) მათი კომპეტენციის ფარგლებში სახანძრო უსაფრთხოების ეკონომიკური და სოციალური სტიმულირების განხორციელება;

ვ) მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება და მათი ჩაბმა ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის საქმეში;

ზ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებისა და მოხალისე მეხანძრეთა საქმიანობისათვის ხელის შეწყობა;

თ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაცია;

ი) ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

# საქართველოს კანონი
# სახანძრო უსაფრთხოების შესახებ

2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან შესაბამის ტერიტორიებზე:

ა) უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულება;

ბ) მიიღონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ქონება აღნიშნული ქონების მესაკუთრის მიერ მის შენახვაზე უარის თქმის შემთხვევაში და გამოიყენონ იგი პირდაპირი დანიშნულებით;

გ) დადგენილი ნორმების შესაბამისად შექმნან და შეინახონ ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯებიდან დაფინანსებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები;

დ) ორგანიზაცია გაუწიონ მოსახლეობაში სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას;

ე) ხელი შეუწყონ მოხალისე მეხანძრეების საქმიანობას.

## თავი IV
## სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

**მუხლი 20. სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია**

1. სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, აგრეთვე, ხანძართან ბრძოლის გამოცდილების, ნივთიერებების, მასალების, ტექნოლოგიური პროცესების, ნაკეთობების, კონსტრუქციების, შენობებისა და ნაგებობების ხანძარსაშიშროების შეფასების საფუძველზე.

2. ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობებისა და დანადგარების დამამზადებლები (მომწოდებლები) ვალდებულნი არიან შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოიყვანონ ამ ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობებისა და დანადგარების ხანძარსაშიშროების მაჩვენებლები, აგრეთვე, მიუთითონ მათთან მუშაობისას აუცილებელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ.

3. საწარმოების, შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებისა და რეალიზაციის დროს, აგრეთვე, მათი დაპროექტებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ღონისძიებები ხანძრის შემთხვევაში ადამიანთა ევაკუაციის უზრუნველსაყოფად.

4. საწარმოებისათვის სავალდებულო წესით მუშავდება ხანძრის ჩაქრობის გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ გადაწყვეტილებებს ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

5. ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების, შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ.

6. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებათა თანახმად შემუშავებული საინვესტიციო პროექტები უნდა შეთანხმდეს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანოებთან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა ნაწილში.

7. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ სტანდარტიზაციის შესახებ მიღებული ნორმატიული აქტები, რომლებიც ადგენენ ან რომლებმაც უნდა დაადგინონ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, შეთანხმებულ უნდა იქნეს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტთან.

**მუხლი 21. ხანძრის ჩაქრობა**

1. ხანძრის ჩაქრობა არის მოქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კერძო და სახელმწიფო ქონების გადარჩენისა და ხანძრის ლიკვიდაციისათვის.

2. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების გარნიზონებში ხანძრის ჩაქრობის ორგანიზაციის წესს ადგენენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები და ამტკიცებენ აღმასრულებელი ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოები.

3. საგანგებო მდგომარეობისა და მათი შედეგების ლიკვიდაციისათვის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ძალები და საშუალებები მიიზიდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების გამოსაძახებლად ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სატელეფონო ქსელში დადგენილია ერთიანი ნომერი.

5. ხანძრის ჩაქრობას ადგილზე უშუალოდ ხელმძღვანელობს ხანძარზე მისული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების უფროსი ოპერატიული თანამდებობის პირი – ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი), რომელიც ერთმმართველობის პრინციპით ხელმძღვანელობს საბრძოლო მოქმედებაში მონაწილე ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების პირად შემადგენლობას და ხანძრის ჩაქრობაში ჩაბმულ სხვა ძალებს.

6. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მითითებები აუცილებელია შესასრულებლად ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ხანძრის ჩაქრობის საბრძოლო მოქმედება.

**მუხლი 22. სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოება**

1. სახანძრო-ტექნიკური პროდუქცია მზადდება სახელმწიფო შეკვეთის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის დამზადებას არეგულირებს და ხელს უწყობს სახელმწიფო.

3. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახანძრო-ტექნიკურ პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთა და განაწილება ხდება მიზნობრივი პროგრამებით.

4. სახელმწიფო შეკვეთის შესრულების ორგანიზაცია ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 23. სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში**

1. სამუშაოები და მომსახურება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სრულდება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა რეალიზაციის, აგრეთვე, ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის მიზნით.

2. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოებსა და მომსახურებას განეკუთვნება:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოებისა და დასახლებული პუნქტების ხანძრებისაგან დაცვა;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სამეცნიერო-ტექნიკური კონსულტაციების გაწევა;

გ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების ექსპერტიზის ჩატარება;

დ) ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობებისა და კონსტრუქციების გამოცდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით;

ე) საუწყებო კონტროლის განხორციელება სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე;

ვ) სახანძრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოება, გამოცდა, შესყიდვა და მიწოდება;

ზ) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი, გამართვა, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

თ) დასახლებული პუნქტების, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ორგანიზაცია და საქმიანობა;

ი) საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესრულება;

კ) ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდის განხორციელება, სპეციალური ლიტერატურისა და სარეკლამო პროდუქციის გამოცემა;

ლ) ცეცხლდამცავი და სალუმელე სამუშაოების შესრულება;

მ) სახანძრო ტექნიკის, აღჭურვილობისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შეკეთება;

ნ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების შენობების, ნაგებობების, სათავსების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და შეკეთება;

ო) სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;

პ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმართული სხვა სამუშაოები და მომსახურება, რომლის ნუსხას ადგენს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი.

**მუხლი 24. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა, სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება და ინფორმაციული უზრუნველყოფა**

1. ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა არის საზოგადოების მიზანდასახული ინფორმირება სახანძრო უსაფრთხოების პრობლემების შესახებ, რომელიც ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გამოცემების, სპეციალური ლიტერატურისა და სარეკლამო პროდუქციის გამოშვებით, თემატური გამოფენების, ჩვენებების, კონფერენციების მოწყობით, აგრეთვე, მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმების გამოყენებით, რომლებიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

2. ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები და საწარმოები.

3. საწარმოს თანამშრომელთათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას ახორციელებს ამ საწარმოს ადმინისტრაცია საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

4. სახანძრო უსაფრთხოების წესების სავალდებულო სწავლებას ბავშვებისათვის, სკოლამდელი აღზრდისა და სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის ახორციელებენ შესაბამისი უწყებები ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტთან და ავტონომიური რესპუბლიკების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ტერიტორიულ ორგანოებთან შეთანხმებული პროგრამებით.

5. განათლების სისტემისა და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ორგანოებს შეუძლიათ მოზარდებისაგან შექმნან მოხალისე მეხანძრეთა რაზმები.

6. ინფორმაციული უზრუნველყოფა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ხორციელდება სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის იმ სპეციალური საინფორმაციო სისტემების საბანკო მონაცემების (შემდგომში – საინფორმაციო სისტემები) შექმნისა და გამოყენების მეშვეობით, რომლებიც აუცილებელია დასახული ამოცანების შესასრულებლად.

7. საინფორმაციო სისტემებში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ცნობების შეტანის საფუძველსა და წესს, აგრეთვე, მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა ამ ცნობებით სარგებლობის პირობებსა და წესს ადგენს კანონმდებლობა.

8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვალდებულნი არიან ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების მოთხოვნით გამოაქვეყნონ ოპერატიული ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხების შესახებ.

9. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან მიაწოდონ მოსახლეობას ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და ხელი შეუწყონ სახანძრო-ტექნიკური ცოდნის გავრცელებას.

**მუხლი 25. ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვა**

1. საქართველოში მოქმედებს ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა.

2. ოფიციალურ სტატისტიკურ აღრიცხვასა და სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებას ხანძრებისა და მათი შედეგების შესახებ აწარმოებენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები.

3. ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვის წესს ადგენს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტთან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

4. ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვის დადგენილი წესის შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისათვის, აგრეთვე, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

**მუხლი 26. ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა**

1. ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის წესი, პირობები და იმ საწარმოების ნუსხა, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევას, განისაზღვრება კანონმდებლობით.

**მუხლი 27. სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფა**

1. სახანძრო უსაფრთხოების სამეცნიერო-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამეცნიერო-კვლევითი დანაყოფები და შესაბამისი სასწავლებელი.

2. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური ნაშრომები ფინანსდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების, აგრეთვე, დაფინანსების სხვა წყაროებიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მეცნიერული გამოკვლევების კოორდინირება ეკისრება ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტს.

4. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის შექმნისას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და საწარმოები ორგანიზაციას უწევენ საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას.

**მუხლი 28. ლიცენზირება**

სახანძრო უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის (სამუშაოების, მომსახურების) ლიცენზირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 29. სერტიფიკაცია**

1. იმ პროდუქციისა და მომსახურების ნუსხას, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სახანძრო უსაფრთხოების სერტიფიკაციას, ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სახანძრო უსაფრთხოების სერტიფიკატი შესაბამისობის სერტიფიკატის სავალდებულო შემადგენელი ნაწილია.

2. სერტიფიკაციის სახელმწიფო ორგანიზაციისა და ჩატარების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

## თავი V
## უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში

**მუხლი 30. მოქალაქეების უფლება-მოვალეობები სახანძრო უსაფრთხოების სფეროში**

1. მოქალაქეებს უფლება აქვთ:

ა) ხანძრის შემთხვევაში დაიცვან თავიანთი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება;

ბ) აინაზღაურონ მიყენებული ზარალი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) მიიღონ მონაწილეობა იმ ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, რომელმაც ზიანი მიაყენა მათ ჯანმრთელობასა და ქონებას;

დ) მიიღონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფებიდან;

ე) მიიღონ მონაწილეობა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მათ შორის ნებაყოფლობითი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის საქმიანობაში.

2. მოქალაქენი ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა შესაბამისად იქონიონ კუთვნილ შენობებსა და ნაგებობებში ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

გ) ხანძრის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს;

დ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფების მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღონ ზომები ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კერძო და სახელმწიფო ქონების გადასარჩენად და ხანძრის ჩასაქრობად;

ე) დაეხმარონ ხანძრის ჩაქრობაში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფებს;

ვ) შეასრულონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამდებობის პირთა მიწერილობები, მითითებები და სხვა კანონიერი მოთხოვნები;

ზ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულების კონტროლისა და დარღვევების აღკვეთის მიზნით საშუალება მისცენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაატარონ კუთვნილი საცხოვრებელი, სამეურნეო, სამეწარმო, სხვა შენობებისა და ნაგებობების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება.

**მუხლი 31. საწარმოების უფლება-მოვალეობები სახანძრო უსაფრთხოების სფეროში**

1. საწარმოებს უფლება აქვთ:

ა) დადგენილი წესით შექმნან მათ ხარჯზე მყოფი სახელმწიფო (სახელშეკრულებო) ან საუწყებო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები, აგრეთვე, მოახდინონ მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

ბ) შეიტანონ აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წინადადებები;

გ) ჩაატარონ სამუშაოები საწარმოებში მომხდარი ხანძრების გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების დასადგენად;

დ) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინონ სოციალური და ეკონომიკური სტიმულირების ღონისძიებები;

ე) დადგენილი წესით მიიღონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფებიდან.

2. საწარმოები ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, აგრეთვე შეასრულონ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამდებობის პირთა მიწერილობები, დადგენილებები და სხვა კანონიერი მოთხოვნები;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

გ) აწარმოონ ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა, აგრეთვე, უზრუნველყონ თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;

დ) შეიტანონ კოლექტიურ ხელშეკრულებაში (შეთანხმებაში) სახანძრო უსაფრთხოების საკითხები;

ე) იქონიონ გამართულ მდგომარეობაში ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და სისტემები, მათ შორის ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, არ დაუშვან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

ვ) დადგენილი ნორმების შესაბამისად შექმნან და შეინახონ სახელმწიფო (სახელშეკრულებო) ან საუწყებო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ქვედანაყოფები;

ზ) ხელი შეუწყონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა გამოვლენაში;

თ) საწარმოების ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობისას გამოყონ აუცილებელი ძალები და საშუალებები;

ი) უზრუნველყონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამდებობის პირთა შესვლა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საწარმოების ტერიტორიებზე, შენობებში, ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე;

კ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების თანამდებობის პირთა მოთხოვნით წარმოადგინონ მონაცემები და დოკუმენტები საწარმოში სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, წარმოებული პროდუქციის ხანძარსაშიშროებისა და მათ ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრებისა და მათი შედეგების შესახებ;

ლ) დაუყოვნებლივ აცნობონ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებს ხანძრის გაჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა და საშუალებების გაუმართაობის, გზებსა და გასასვლელებში ცვლილებების შესახებ;

მ) ხელი შეუწყონ მოხალისე მეხანძრეების საქმიანობას.

**მუხლი 32. პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის**

პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი VI
## გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 33. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები**

ამ კანონის სრულად ასამოქმედებლად მისი ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში მიღებულ იქნეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს კანონი „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“;

გ) საქართველოს კანონი „საბაჟო გადასახადების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ;

დ) დებულება „საქართველოში სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანიზაციის შესახებ“;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანიზაციის წესდება;

ვ) ხანძრის ჩაქრობის საბრძოლო წესდება;

ზ) დებულება „საქართველოში ხანძრებისა და მათი შედეგების სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის შესახებ“;

თ) დებულება „მოხალისე ხანძარსაწინააღმდეგო რაზმეულის შესახებ“.

## თავი VII
## დასკვნითი დებულება

**მუხლი 34. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1998 წლის 12 მაისი.

### ქუთაისმა იუნესკოს დელეგაციას უმასპინძლა

ქუთაისს ეწვია იუნესკოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ალექსანდრე ფაიგლი – საერთაშორისო ფოლკლორის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ქალაქ გრაცის (ავსტრია) სახელმწიფო გიმნაზიისა და ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები. სტუმრებს ქალაქში უმასპინძლა ბაგრატის ტაძრის ფონდის ხელმძღვანელობამ. ვიზიტი სამი დღე გაგრძელდა.

გაიმართა შეხვედრები ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის და აკაკი წერეთლის სახელობის გიმნაზიებში. აღნიშნულ სასწავლებლებსა და ქალაქ გრაცის სასწავლებლებს შორის დაიდო ხელშეკრულება თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ლამაზი საღამო მოუწყო სტუმრებს ქუთაისის ფოლკლორის სახლმა.

### ქისტაურში. რაფიელ ერისთავის ნაფუძარზე

ამ დღეებში თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა და ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებამ ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში გამართეს რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

როგორც აღინიშნა, პოეტის შემოქმედება და ღვაწლი ჯერაც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და დაფასებული. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ემსახურებოდა სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა და ადგილობრივი სოფლის სკოლის პედაგოგებმა.

### საორკესტრო სკოლის იუბილე

დაარსების 25-ე წლისთავს მიუძღვნა მე-20 სამუსიკო საორკესტრო სკოლამ საანგარიშო კონცერტი-დათვალიერება, რომელიც კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა.

ბოლო წლებში მიმდინარე მოვლენებმა თავისი ხელი სკოლასაც დაატყო, მაგრამ, როგორც მისმა დირექტორმა ალა ლაფერაშვილმა თქვა, იგი უკვე აღმავლობის გზას დაადგა.

იმ დღეს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ კონცერტზე სკოლის შეიდივე კლასის საუკეთესო მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის ნაწარმოებები, შესრულდა, აგრეთვე, ქართული ფოლკლორის ნიმუშები.

**კრიმინალი**

### მკვლელობა ყიფშიძის ქუჩაზე

28 მაისს, დაახლოებით 01 საათზე ყიფშიძის ქუჩა №2 კორპუსის 87-ე ბინაში, რომელიც ეკუთვნის ელისაბედ ბადრიაშვილს და სადაც ქირით ცხოვრობდნენ ქობულეთელი დავით მჟავანაძე, მისი მეუღლე ცირა გოგიტიძე და მათი ვაჟი გიორგი, აღმოაჩინეს ამავე კორპუსის №98 ბინაში მცხოვრები ნანა გვასალიას გვამი, რომელსაც თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჰქონდა ჭრილობა.

მჟავანაძეების ოჯახი მიიმალა, შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი მჭიდითა და 4 ვაზნით, ასევე, ერთი გასროლილი მასრა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს იძიებს პროკურატურა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

**სასამართლო**

# დედას გეფიცებით, — ეგ იარაღი ჩემი არ არის!

## მაშ, ვისია „ბრაუნინგი?"

აქამდე ზურაბ ქარსელაძე სასამართლო პროცესზე, შედარებით ჩუმად, წყნარად იჯდა. მოწმე თეიმურაზ მამნიაშვილის დაკითხვის დროს კი ანერვიულდა, ხმას აუწია. თეიმურაზ მამნიაშვილი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორია და თავის დროზე ზურაბ ქარსელაძის დაკავებაში მონაწილეობდა.

— ოპერატიული ინფორმაციით ზურაბ ქარსელაძე იარაღს ატარებდა, — თქვა მოწმემ. — ჩვენ მას ჩავუსაფრდით ბაგებში, ავტოინსპექციის საგუშაგოსთან. ერთ-ერთმა ავტოინსპექტორმა გააჩერა წყნეთის აგარაკიდან მომავალი ქარსელაძის „მერსედესი". მაგრამ შიგ ქალბატონი ეჯდა და გავუშვით. მის მანქანას მივყევით უკან, ის ქალბატონი ჩამოსვა ვაკის პარკთან და მხოლოდ ამის შემდეგ დავაკავეთ.

— სად გაჩხრიკეთ ზურაბ ქარსელაძე, — იკითხა ჯემალ ლეონიძემ.

— სამმართველოში.

— რა აღმოაჩნდა?

— პრიალა მონიკელებული „ბრაუნინგი". ქამარში ჰქონდა გარჭობილი.

— რა სთქვა, ვისიაო?

— ჩემიაო.

— მაშ, რატომ არ მოაწერა ხელი ჩხრეკის ოქმს?

— ეს მისი უფლებაა, — შეუძლია მოაწეროს, შეუძლია — არა. ჩვენ საამისო ოქმი ცალკე შევადგინეთ. ჩემის აზრით, უფრო იმიტომ არ მოაწერა, რომ იმახოდა, — სამ დღეში გარეთ გავალო.

— თქვენი იყო ის იარაღი? — ახლა ზურაბ ქარსელაძეს მიუტრიალდა მოსამართლე.

— არა. მთელი იარაღი ჩემს ხელში გადიოდა და „ბრაუნინგს" დავიტოვებდი? სირცხვილი არ არის?

— თანამოწმეები ხომ ესწრებოდნენ ჩხრეკას, იარაღის ამოღებას?

ეს კითხვა უკვე მოწმეს ეკუთვნოდა.

— როგორ არა. მათ ოქმზე ხელი მოაწერეს. თავად ზურაბ ქარსელაძემ უთხრა ორივეს, — მოაწერეთ, შვილებო, ხელი, ეგ იარაღი ჩემიაო...

თეიმურაზ მამნიაშვილი ესწრებოდა საცხოვრებელი ბინის ჩხრეკასაც.

— რაც მის ბინაში იარაღი და ტყვია-წამალი ვიპოვეთ, — თქვა მოწმემ, — ამაზე მაშინ მაგას არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია. პირიქით, პოლიციის სამმართველოშივე გვითხრა, — აქა და აქ ესა დევს, აქა და აქ კი — ესაო. წავედით და მართლაც იმ ადგილებზე იდო პისტოლეტიც, შაშხანაც და უამრავი ვაზნაც.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ პროცესზე ანალოგიური ჩვენება მისცა ოპერაციის მეორე მონაწილემ, თბილისის პოლიციის სამმართველოს იმჟამინდელმა გამომძიებელმა სერგო ფეიქრიშვილმა. მან იარაღის ტარების და ბინიდან ამოღების ფაქტები საჯაროდ დაადასტურა. ზურაბ ქარსელაძემ კი ასევე საჯაროდ დედა დაიფიცა, — ის „ბრაუნინგი" ჩემი არ ყოფილაო...

## ძალიან კარგად ვიცი!

პროცესზე კვლავ მოდიან განსასჯელთა ადრინდელი ადვოკატები. ამჯერად ჯერი მიდგა ავთანდილ გოგოტიშვილის ინტერესების ყოფილ დამცველზე, მთაწმინდის რაიონის ადვოკატურის წევრ ლალი მაისაშვილზე.

— ჩვენების მიცემას ესწრებოდით? — ჰკითხა ჯემალ ლეონიძემ.

— რა თქმა უნდა.

— ხომ არ იყო ზემოქმედება, — დაძალება, კარნახი, მინიშნება...

— არა. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა.

— ცემა, წამება?

— არც მე შემიმჩნევია და არც თავად უთქვამს რაიმე.

— პირისპირ შეხვედით?

— არა, მაგრამ თუ იტყოდა, აუცილებლად შევხვდებოდი.

გიგა გელაშვილის თქმით, ავთანდილ გოგოტიშვილის ორი ჩვენება წყლის წვეთებივით ჰგავს ერთმანეთს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი გადაწერილიაო.

— არაო, ჩემი იქ ყოფნის დროს არავითარი გადაწერა არ მომხდარა. რასაც ჰყვებოდა, ოქმშიც ის იწერებოდაო, — დაბეჯითებით თქვა ლალი მაისაშვილმა. თუმცა, აქვე ავთანდილ გოგოტიშვილმა განმარტა, — ეს მაშინ მოდიოდა, როცა ყველაფერი უკვე გადაწერილი მქონდაო.

ვითარების საბოლოო გარკვევისათვის ჯემალ ლეონიძე კიდევ ერთხელ შეეკითხა მოწმეს.

— თქვენ ადასტურებთ, რომ ავთანდილ გოგოტიშვილის ჩვენებები ზუსტია და ისინი მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით?

— დიახ, სადაც ჩემი ხელმოწერებია, — ყველას ვადასტურებ!

— საერთოდ, იცით, მე რას მედავებიან? — გაღიზიანდა ავთანდილ გოგოტიშვილი.

— ძალიან კარგად ვიცი! — იყო პასუხი...

## ფოტო №3

თბილისის აეროპორტის სადისპეტჩერო სამსახურის მუშაკი თემურ ჩხაიძეც მეორედ მოვიდა პროცესზე. პირველი დაკითხვისას კარგად ვერ გაირკვა ფოტოსურათზე იმ პიროვნების ამოცნობის ამბავი, რომელმაც 1994 წლის 6 სექტემბერს თბილისი-მოსკოვის რეისის თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაპარა. შეგახსენებთ, რომ აქ ბრალი ედება გურამ პაპუკაშვილს.

გამოქვეყნდა თემურ ჩხაიძის წინასწარი ჩვენება. იგი წერს, რომ №3 ფოტოზე გამოსახული პიროვნება ძალიან ჰგავს იმას, ვინც მე 1994 წლის 6 სექტემბერს ვნახე სადისპეტჩეროში. №3 ფოტოზე კი (იყო №1 და №2 ფოტოც) გურამ პაპუკაშვილია.

— ამ ოქმზე თქვენი ხელმოწერაა?

— დიახ.

— ძალა ხომ არ დაგატანეს?

— არა.

— გურამ პაპუკაშვილის ინტერესი ხომ არ გქონდათ?

— არა.

გურამ პაპუკაშვილი გაბრაზდა, — ეს მოწმე მეორედ აქ რატომ მოიყვანეთო, როცა აუხსნეს, — ეს დეტალი საბოლოოდ გარკვეული არ იყოო, — თქვა:

— კარგით, აქამდე არ ვამბობდი, მაგრამ ახლა ვიტყვი. აქ მოიყვანეთ გია ყარყარაშვილი. იგი დაამტკიცებს, რომ მე 1994 წლის 6 სექტემბერს თბილისის აეროპორტში არ ვყოფილვარ!

არადა, იმ ბომბით სწორედ გია ყარყარაშვილი უნდა აეფეთქებინათ...

გუშინ პროცესზე მესამედ მოვიდა გულბათ ბესიაშვილი. რახან ადვოკატ ვალოდია ქირიას შეკითხვების დასმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, ჯემალ ლეონიძემ მოწმესთან შესაბამელად განსასჯელი თემურ ქურდიანი მიუშვა. ქურდიანს უპირველესად აინტერესებდა, თუ საიდან მოხვდა მისი გვარი გია ჭანტურიას, სოლიკო ხაბეიშვილის და გია გულუას მკვლელობის მონაწილეთა სიაში. — ბრალდებულთა ჩვენებებიდან, საქმის მასალებიდან, — მოკლედ უპასუხა საქართველოს პროკურატურის გამომძიებელმა...

**ბონდო გულიაშვილი.**

**წინადადება**

# სახელმწიფო ჯილდოების შესახებ

## მეორე ხარისხის ორდენი არ უნდა არსებობდეს

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მითითებით სათანადო ორგანიზაციებში მსჯელობენ ჩვენ ქვეყანაში სახელმწიფო ჯილდოების სრულყოფის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტი ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს და საპატიო წოდებებს, და იგულისხმება, რომ აწესებს კიდეც მათ. რესპუბლიკურ პრესაში ჯილდოებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე წერილის გამოქვეყნება იმიტომ ჩავთვალე მიზანშეწონილად, რათა ფართო საზოგადოებრიობის, მკითხველთა დამოკიდებულება და მოსაზრებანი შეჯამებულად ეცნობოს პრეზიდენტის აპარატს და ამ საკითხების განხილვის დროს გაითვალისწინოს. ჩემი წინადადებანი კი შემდეგია:

1. სავსებით სწორად მიმაჩნია ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო ჯილდოების (ორდენებისა და მედლების) ჩამოსათვალი რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. როგორც ცნობილია, საბჭოური სისტემის დროს ორდენები და მედლები საერთო-საკავშირო იყო, საკავშირო ორგანოები აწესებდნენ და აჯილდოებდნენ მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეებს, ამ რესპუბლიკათა ორგანოების წარდგენით. დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოს, ცხადია, თავისი სახელმწიფო ჯილდოები უნდა ჰქონდეს და ჯერჯერობით აქვს მხოლოდ ერთი სამოქალაქო ორდენი („ღირსების") და ერთი მედალი ასევე („ღირსების"), სამხედრო პირებისათვის კი — „ვახტანგ გორგასლისა". ასეთი მცირე დასახელების ორდენებისა და მედლების არსებობა არ იძლევა თითოეული დასაჯილდოებელი პირის შედარებითი ინდივიდუალიზაციის საშუალებას, ერთგვარად თანაბრდება მათი წარჩინებული საქმიანობის რეალური შედეგების შეფასება, რაც ადვილი იქნებოდა ჯილდოების ფართო იერარქიის პირობებში შესაბამისი დასახელების შერჩევით.

2. წინა ხელისუფლების დროს დაჯილდოებულებს ორდენების, საპატიო პრემიებისა და მედლების და საერთო წოდებების ლაურეატებსა და კავალრებს უნდა შეუნარჩუნდეს ამ ჯილდოების ცნობისა და შესაბამისი სამკერდე ნიშნების ტარების უფლება, ცხადია, ახალი წოდებების შემოღებასთან ერთად.

3. სრულიად გაუმართლებლად და უხერხულადაც მიმაჩნია ზოგიერთი ორდენების „ხარისხებად" დაყოფა („პირველი", „მეორე" და „მესამე" ხარისხის). რუსულში ცნება „Степень" გამართლებულია, ვინაიდან იგი ერთმნიშვნელოვნად გაიგება, ასოცირდება, ხოლო ქართულად სიტყვა „ხარისხი" გამოხატავს ისეთ რუსულ ცნებასაც როგორიცაა: „Сорт" და „Качество" და ქვეცნობიერად ქართული „ხარისხი" სწორედ ამგვარ უსიამოვნო ასოციაციას იწვევს (სხვა სიტყვებით ვერ გამოვხატავთ), ამიტომ „ვახტანგ გორგასლისა" თუ სხვა ორდენების სახელწოდებები, ჩემი აზრით, ასევე უნდა დარჩეს დაუხარისხებლად, გარეშე, ხოლო რაც II და III ხარისხის ორდენებშია ნაგულისხმევი, მათ სხვა სახელწოდებები შეიძლება დაერქვას ასევე დაუხარისხებლად, თორემ ამჟამად, როცა, მაგალითად, გამოაცხადებენ, რომ ესა თუ ის პირი დაჯილდოებულია, ვთქვათ, ვახტანგ გორგასლის II ან III ხარისხის ორდენით — უნებლიეთ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მან რაღაც ვერ გააკეთა, ბოლომდე ვერ შეასრულა, რადგან „მეორე ხარისხოვანი" და „მესამე ხარისხოვანი" ქართულში რაღაცის უკმარისობას, ნაკლოვანებას გულისხმობს და დაჯილდოებულიც უხერხულობას გრძნობს იმის მაგიერ, რომ უზომოდ გახარებული დარჩეს.

**პროფესორი**
**გივი ინწკირველი.**



### სააქციო საზოგადოება „ბალავარის" აქციონერთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ ამა წლის 16 ივნისს დღის 12 საათზე საზოგადოების იურიდიულ მისამართზე მოწვეულია საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. წლიური აქციონის შედეგების გაცნობა და დამტკიცება:
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა:
3. საზოგადოების ხელახალი რეგისტრაცია.

**სს „ბალავარის" დირექცია.**


### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

27 მაისი, 1998 წელი

**91-დღიანი** სახაზინო ვალდებულებები 3000000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 1998 წლის 2 სექტემბერს, გამოტანილი იქნება აუქციონზე, რომელიც შედგება 1998 წლის 3 ივნისს დღის 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს, სერტიფიცირებული კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 1998 წლის 3 ივნისის დღის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში, ან ნებისმიერ სერტიფიცირებულ კომერციულ ბანკში.

**საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი**
**მერაბ კაკულია.**


ორგანიზაცია სამუშაოდ იწვევს ახალგაზრდა ქალბატონებს მდივნის თანამდებობაზე.

ტელ: 33-57-70.


**ხსოვნა**

### გივი გორგაძე



ომისა და შრომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, კავკასიის დაცვის აქტიური მონაწილე, საზოგადო მოღვაწე და მწერალი **გივი გორგაძე.**

დაიბადა 1918 წელს ქუთაისში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მეორე მსოფლიო ომის პირველ დღეებში დაამთავრა არტილერისტთა სკოლა და იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, სადაც რამდენიმეჯერ დაიჭრა. ომიდან ინვალიდი დაბრუნდა და დაიწყო სამოქალაქო სამსახური.

ინჟინერ გივი გორგაძეს ქუთაისისა და თბილისის ბევრ სამეურნეო ორგანიზაციაში უმუშავია პასუხსაგებ თანამდებობებზე და ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემაც დაუმსახურებია ამ კეთილშობილსა და განათლებულ ადამიანს.

გივი გორგაძე ავტორია მშვენიერი მოთხრობებისა და რომანებისა. მკითხველთა მოწონება დაიმსახურეს მისმა ნოველებმა „დედის პალტო", „დამჭკნარი ყვავილები", „გატეხილი ვიოლინო", რომანმა „აკვნიდან მდინარის ფსკერამდე"...

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირი, რომლის წევრადაც ბოლო წლებში ითვლებოდა ბატონი გივი გორგაძე, არ დაივიწყებს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს. დარწმუნებული ვართ, რომ მწერლის დიდებული ოჯახი — მეუღლე, ქალიშვილები, სიძეები, შვილიშვილები — თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან საყვარელი ადამიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

დაუვიწყარი იქნება თქვენი ხსოვნა და სახელი, ბატონო გივი!

**ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო.**

# საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

## აცხადებს კომერციულ კონკურსს

**სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის (76 პროცენტი, 3 541 411 აქცია), საწყისი გასაყიდი ფასით 6,0 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში კომერციული კონკურსის ფორმით (საინვესტიციო პირობებით) გაყიდვის მიზნით.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

**ინფორმაცია ობიექტის შესახებ:**

გამყიდველი — სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

**საკონკურსო პირობები:**

— სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" მიერ ქ. თბილისის გაზმომარაგების ძირითადი ფუნქციის (პროფილის) შენარჩუნება;

— 2 წლამდე ვადაში ქ. თბილისის გაზის ქსელების და მათზე არსებული ნაგებობების და კოროზიისაგან დაცვის სისტემების რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის არანაკლებ 30 მლნ. აშშ დოლარის ექვივალენტური თანხის ინვესტირება ეროვნულ ვალუტაში იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის გაზმომარაგების აღდგენა და წინასწარი გადახდის საყოფაცხოვრებო მრიცხველებით აღჭურვა განხორციელდება შემდეგი პროცენტული ოდენობით, წლების მიხედვით: ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველ წელიწადს 40 პროცენტი; მე-2 წელიწადს 60 პროცენტი.

— ტექნიკური შესაძლებლობების შემთხვევაში ორგანიზაციების სავალდებულო გაზმომარაგება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;

— მომხმარებელთა გაზის მრიცხველებით აუცილებელი აღჭურვა და გაზის უსაფრთხო და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა;

— საწარმოს ვალებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება (პირველ რიგში ბიუჯეტისა და სოციალური ფონდების წინაშე);

— ეკოლოგიური პირობების დაცვა;

— ძირითადი სამუშაო ადგილების შენარჩუნება. ხელშეწყობა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეაბილიტაციის განხორციელების 2 წლის ვადაში;

— შრომითი დასაქმების პროცესში, თანაბარი პირობების არსებობისას სს „თბილგაზის" კვალიფიცირებული მუშაკებისათვის უპირატესობის მინიჭება;

— ბუნებრივ გაზზე სარეალიზაციო ტარიფის სავალდებულო გამოყენება, ფასწარმოქმნის შესახებ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად;

— მყიდველს ეკრძალება აქციათა პაკეტის (მისი ნაწილის), აგრეთვე, ძირითადი ფონდების გასხვისება და დაგირავება, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე საინვესტიციო პროგრამის განხორციელების პერიოდში.

— მონაწილეობის მიღება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში დადგენილი წესის შესაბამისად;

კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმია მაქსიმალური თანხის გადახდა და საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება.

მყიდველმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ქონების გაყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულებების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გასაყიდი ფასის 51 პროცენტის დაფარვა, ხოლო დანარჩენი 49 პროცენტისა 1998 წლის 31 დეკემბრამდე.

**ობიექტის იურიდიული მისამართია: თბილისი, 380 060, მიცკევიჩის ქ. № 18.**

ყველა დამატებით ცნობას სს „თბილგაზის" შესახებ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ მონაცემებისა, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო, ან კომერციულ საიდუმლოებას, ასევე საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პრეტენდენტი მიიღებს სს „თბილგაზში", რომელიც ევალება სს დირექტორს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს, მ. წ. 22 მაისიდან 24 ივლისის ჩათვლით 10 სთ-იდან 17 სთ-მდე. კონკურსი ჩატარდება და მასში მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტები გაიხსნება მ. წ. 27 ივლისს დღის 12 სთ-ზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

**საკონკურსო კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.**

„მყიდველი" ვალდებულია დაიცვას საკონკურსო პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 6 თვეში ერთხელ ინფორმაცია წარუდგინოს „გამყიდველს". ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში „მყიდველი" ღებულობს გაფრთხილებას წერილობითი სახით და ჯარიმდება კონკურსის შედეგად დადგენილი გასაყიდი საბოლოო ფასის 10 პროცენტით. საკონკურსო პირობათა დაუცველობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად „გამყიდველის" მიერ. „მყიდველს" არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს მყიდველის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) მყიდველის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

გ) სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიმსწორების ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკი № 141144212, კოდი 220101107 „ბე"-სა (საწყისი გასაყიდი ფასის მინიმუმ 10 პროცენტის ოდენობით) შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ინვესტიციების საფინანსო უზრუნველყოფის შესახებ;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.**

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა თბილისის რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი

ირაკლი ქადაგიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქინფორმის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ლალი მანჯავიშვილს გარდაეცვალა დედა, უსათნოესი მანდილოსანი

ელენე (ელიკო) მანჯავიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი, სამეცნიერო საბჭო და საზოგადოებათა მეცნიერების კათედრა თანაგრძნობას უცხადებენ საზოგადოებათა მეცნიერების კათედრის გამგეს, პროფესორ დავით გეგეშიძეს დედის

ლოლა პაჭკორია-გეგეშიძის

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო იუწყება, რომ გარდაიცვალა მეტროპოლიტენის ღვაწლმოსილი მუშაკი, საპატიო რკინიგზელი

ოთარ ივანეს ძე ალიმბარაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები თემური, მარინე გელაშვილები, შვილიშვილები ეთუნა, გაიოზი, ნინო, ირმა, სოფიო, და ნარგიზი, მაზლი სერგო გელაშვილი, რძლები მარინე, თინა, ზიზი, სიძეები გიტო, ქრისტო, მძახალი ქეთინო კალანდაძე, დისწულები, ძმისწულები, მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ ვასილის ასული ზოზოლაძე-გელაშვილი

პანაშვიდი 31 V, 1 VI, 5 ს. გამოსვენება 2 VI, 2 ს. ვაშლიჯვარი, კორპ. 11, ბ. 45.

---

მეუღლე ალა, ქალიშვილი თამარ საგინაშვილები, შვილიშვილი დავით მურჯიკნელი, დეიდაშვილები ჯავახიშვილები, მამიდაშვილები ლულუ, გოგა საამაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილია ალექსანდრეს ძე საგინაშვილი

პანაშვიდი 31, V, 1 VI 4 ს. გამოსვენება 2, VI 3 ს.


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში" რკინიგზის ჩიხი 20.